ედუარდ კოკოითის მიმართვა A3

სჭირდება თუ არა ევროპას „ნათლია“? A5

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 3 ივლისი, 2003 წელი. №180 (392)

ფასი 30 თეთრი

## რევოლუციური გარდაქმნები რევოლუციის გარეშე

ნინო ბურჯანაძის ლოზუნგი, რომელმაც შეიძლება მთელი საქართველო გააერთიანოს



ნინო ბურჯანაძემ საზოგადოებრივი დაკვეთა საკმაოდ სწორად აღიქვა.

თამარ ხორბალაძე

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან მისულ, ყველასათვის კარგად ცნობილ ადამიანებს არ აერთიანებდათ ერთი პარტიისადმი კუთვნილება ან თუნდაც ერთი პოლიტიკური მიმართულებისადმი, მაგალითად ოპოზიციისადმი, სიმპათია;

მათ არ აერთიანებდათ არც საქართველოს პრეზიდენტის სიძულვილი (საქართველოში დღეს ეს ფაქტორი ხშირად ხდება ხოლმე საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საფუძველი);

მათ არ აერთიანებდათ არც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი და არც ხელისუფლებაში მოუსვლელად განსაკუთრებული პრივილეგიების მიღებისადმი ლტოლვა...

ამ ადამიანებს ყველაფერი – სახელი, პროფესიონალიზმი, დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი თავისუფლება და გარკვეული პრივილეგიები – ის პრივილეგია, რასაც ხალხის ნდობა და პატივისცემა ჰქვია, ისედაც აქვთ – პოლიტიკოსებისგან და პოლიტიკისგან დამოუკიდებლად, თუმცა...

თუმცა მათ, განხვავებული პოლიტიკური გემოვნებისა თუ პროფესიის მიუხედავად, აერთიანებდათ აშკარა, გაცხადებული ნდობა საქართველოს პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძისადმი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გაერო-ს კომისრები საქართველოში

ლენა მიქაძე

გაერო-ს ლტოლვილთა კომისარიატის წარმომადგენლები სომხეთის შემდეგ საქართველოს ეწვივნენ. კომისრის მოადგილე ქემილ მორჯანს ქართველი დევნილების მდგომარეობის ადგილზე შესწავლა აქვს გადაწყვეტილი. საამისოდ კომისრის მოადგილემ გუშინ დახურულ კარს მიღმა ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს შეხვდა, შემდეგ თავად ქვეყნის მეთაურს. შეხვედრის შემდეგ ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებდა, რომ ლტოლვილთა კომისარიატის წარმომადგენლებს, როგორც აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ისე ჩეჩნეთიდან დევნილების მდგომარეობის შესახებ გააცნო ინფორმაცია. პრეზიდენტთან საკმაოდ გვიან გამართული შეხვედრის შემდეგ კომენტარი ქართული მხარის წარმომადგენლებს აღარ გაუკეთებიათ. სიტყვაუხვობით არც თავად მორჯანი გამოირჩეოდა. მან საკმაოდ ზოგადი ფრაზებით დააკმაყოფილა ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა: **“პრეზიდენტთან შეხვედრით კმაყოფილი ვარ, გარდა ამისა იმითაც, რომ ბევრ საკითხში დევნილებთან მიმართებაში გაერო-სა და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა.”**

## გაქცეული პატიმარი მტკვარში დამხრჩვალი იპოვეს

გუშინ, გვიან ღამით, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ავჭალის კოლონიიდან ორი კილომეტრის მოშორებით, მდინარე მტკვრის კალაპოტში, ხუთი დღის წინ ავჭალის კოლონიიდან გაქცეული ერთ-ერთი პატიმრის – ზვიად გელაშვილის გვამი იპოვეს. შეგახსენებთ, რომ ბორჯომის „მხედრიონელ“ ზვიად გელაშვილთან ერთად მძიმე დანაშაულების გამო რამდენჯერმე გასამართლებული შვიდი პატიმარი გაიქცა, რომელთაგან ერთ-ერთი - ყველიაშვილი სამართალდამცველებმა მეორე დღეს, გლდანულაში, ნაქირავებ ბინაში დააკავეს. დაკავებულმა ტუსაღმა გაამჟღავნა, რომ კოლონიიდან გაქცეულებმა მტკვარი გადაცურეს. **“არსებობდა ეჭვი, რომ შესაძლოა, რომელიმე მათგანი მდინარეში დამხრჩვალიყო. ამიტომ ოპერატიული შემოვლის ჯგუფები მუდმივად აკონტროლებდნენ მდინარის კალაპოტს. ეჭვი გამართლდა. ერთ-ერთი მათგანი მართლაც დამხრჩვალი იპოვეს. მას კოლონიიდან გატაცებული ავტომატი ისევ ზედ ეკიდა”,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსმა თემურ ანჯაფარიძემ.

რაც შეეხება ზვიად გელაშვილთან ერთად ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეულ დანარჩენ პატიმრებს, მათი ადგილსამყოფელი, ჯერჯერობით, უცნობია. არც ის არის გამორიცხული, კიდევ რომელიმე მათგანის ცხედარი მდინარე მტკვარმა გამორიყოს.

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 30 |
| ქუთაისი | 32 |
| ბათუმი | 33 |
| სოხუმი | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

## "აირზენას" შევარდნაძის იმედი ველარ ექნება

ნანა გიორგაძე
თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ღიად დაუჭირა მხარი ინგლისის და თურქეთის ავიაკომპანიებს და ასევე ღიად “დაარტყა” “აირზენას”.

დარტყმა მოჰყვა “ბრითიშ ეარვეისისა” და “თურქიშ ეარლაინზის” საკითხის განხილვას.

შევარდნაძე, რომელსაც მაისის ბოლოს, პეტერბურგში, პირადად ტონი ბლერისაგან მოუხდა ბრიტანულ ავიაკომპანიასთან დაკავშირებული პრეტენზიების მოსმენა, იმთავითვე შეუვალი გახლდათ:

**„მე კარგად მახსოვს, რა პირობებში მოვაწერეთ ხელი თურქეთთან და ბრიტანეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მაშინ თბილისში თვითმფრინავიც არ დაფრინავდა. ეს საკითხი ტონი ბლერამდეცაა მისული... ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტო ერთი კომპანიის იმედად ქვეყანა ვერ გამდიდრდება...“** - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე და იქვე გააკრიტიკა ყველა, ვინც, მისი თქმით, ხელი შეუშალა ხელშეკრულებების რატიფიცირებას.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ამ კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს. ხოლო იმან, რომ ხელშეკრულებები პარლამენტში რატიფიცირებული არ აღმოჩნდა, კომპანიებს სერიოზული საგადასახადო პრობლემები შეუქმნა და უკვე ექვსი თვეა, მათი ფრენა საქართველოში შეჩერებულია.

გუშინდელმა სხდომამ შესანიშნავად დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტი სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებს ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, პარალელურად კი სერიოზული პრობლემები ელის "აირზენას", რომელიც კარგა ხნის მანძილზე სარგებლობდა იმავე პრეზიდენტის მხარდაჭერით.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ეს მე ვარ, ედიჩკა!"

A4



რუს ნაციონალ-ბოლშევიკთა სულიერი ლიდერი ედუარდ ლიმონოვი.

## "კარგი ქურდები" თბილისში

დაგვიანება ჯენტლმენური იყო. მის მოსვლამდე კი, ვიხსენებდით, რომ თბილისში კინოს ცნობილი სახეებიდან მხოლოდ რობერტ რედფორდი და რობერტ დე ნირო იყვნენ ნამყოფები. შეიძლება, ნიკ ნოლტი ისეთი პოპულარული არ არის, როგორც ზემოთ ნახსენები ვარსკვლავები, მაგრამ მისი ვიზიტი ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის გახლავთ მსახიობი, რომელმაც ჰოლივუდის ახალ ფილმში პარტნიორობა გაუწია ახალბედა ქართველ მსახიობს ნუცა კუხიანიძეს. ნოლტისთან ერთად თბილისში ფილმის, „კარგი ქურდის“ რეჟისორი, ნილ ჯორდანიც ჩამოვიდა.

გაგრძელება A7 გვერდზე



ნიკ ნოლტი "24 საათის" რედაქციაში.

## მოსკოვი, თბილისი და ტოტალური საკადრო წმენდა ცხინვალში

*სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტი საკუთარ პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს სრულ მხარდაჭერას უცხადებს - დეპუტატები მასობრივ საკადრო წმენდას აბსოლუტურად “ლოგიკურს და საჭიროს” უწოდებენ. თავად კოკოითი კი გადაყენებულ ძალოვან მინისტრებს (რომლებიც სულ ახლო წარსულში მისი მეგობრები და თანამებრძოლები იყვნენ), დღეს უკვე “კრიმინალებად” მოიხსენიებს და საქართველოს ხელისუფლებას რჩევასაც კი აძლევს, რომ მსგავსი წმენდა თბილისმაც განახორციელოს... თავად თბილისში კი კოკოითის ასეთ რადიკალურ ნაბიჯებს მოსკოვში მის არაოფიციალურ ვიზიტს უკავშირებენ, რომლის დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია.*

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ედუარდ კოკოითმა თანამდებობიდან ძალოვანი უწყებების ყველა პირველი პირი გაათავისუფლა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავის დროზე მის გაპრეზიდენტებას აქტიურად შეუწყვეს ხელი და, მოგვიანებით ჯილდოდ ის თანამდებობები და პრივილეგიები მიიღეს, რომელიც, სხვისი კარნახით თუ საკუთარი სურვილით, კოკოითმა, ყოველგვარი ზედმეტი თავაზიანობის გარეშე, ორი დღის წინ დაატოვებინა. ამ ორი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოითქვა ის მოსაზრებაც, რომ კოკოითის მიერ აღზევებული ძალოვანი მინისტრები მის წინააღმდეგ გადატრიალებას გეგმავდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "შავი ოთხშაბათი" საბაჟოზე

მაია ურუშაძე

*გუშინ საბაჟოზე ტოტალური საკადრო წმენდა მოეწყო. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა რეგიონული საბაჟო სამსახურების ყველა ხელმძღვანელი გადააყენა და მათი მოვალეობის შესრულება დროებით თავის მოადგილეებს დაავალა. შედეგად, „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის“ საბაჟოების უფროსის მოვალეობას დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პაატა აბუთიძე შეასრულებს, „დასავლეთს“ ალექსანდრე ჩოჩია უხელმძღვანელებს, „რკინიგზას“ – შალვა ჟორდანია, ხოლო „ენერგეტიკის“ საბაჟოს – ლევან ლაზარიშვილი. ერთადერთი გამონაკლისია საბაჟო „აღმოსავლეთი“, რომლის უფროსიც - პაატა კოკაია თანამდებობიდან გათავისუფლებას გადაურჩა. ის რუსეთის ფედერაციის საბაჟო კომიტეტსა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში გრძელვადიანი მივლინებით წარგზავნეს. ამასობაში კი, მის მოვალეობას თარხან-მოურავის მოადგილე მირიან ყარაულაშვილი შეასრულებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბიუჯეტის სეკვესტრი 100 მილიონ ლარზე მეტი იქნება

სოფო კვინტრაძე

*“ასე ძალიან გინდათ, რომ გადავდგე?” – ასეთი იყო ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის კომენტარი მისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე. გოგიაშვილის პოსტიდან წასვლას არ ადასტურებენ არც სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები და არც სხვა მინისტრები.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## თურქეთი-სომხეთი: გაიხსნება თუ არა საზღვარი?

სომხეთსა და თურქეთს შორის საზღვრის შესაძლო გახსნა ბოლო ხანს პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. სომხეთში არჩევნების დასრულებისა და სომხეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

რამდენიმე დღის წინ, ყარსის სასაზღვრო რაიონში ვიზიტისას, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოგანმა განაცხადა, რომ როგორც კი სომხეთი შეწყვეტს 1915 წლის გენოციდის საერთაშორისო აღიარების კამპანიას, ორ ქვეყანას შორის საზღვრის გახსნას წინ აღარაფერი დაუდგება.

ადრე თურქეთი ურთიერთობების აღდგენის წინაპირობად სომხეთის მიერ მთიანი ყარაბაღიდან ჯარის გაყვანასაც ითხოვდა. ამ მოთხოვნის მოხსნამ ბაქოში შეშფოთება გამოიწვია.

სომხეთთან საზღვრის გახსნას ანკარასაგან დიდი ხანია ითხოვს შეერთებული შტატები. თუმცა, ჯერჯერობით, ვაშინგტონის მცდელობებს, შეერიგებინა ორი ერი, შედეგი არ მოჰყოლია.

გაგრძელება A5 გვერდზე

## პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრს გადაყენებით დაემუქრა

*პრეზიდენტმა შევარდნაძემ იუსტიციის მინისტრს როლანდ გილიგაშვილს მთავრობის გუშინდელ სხდომაზე “ყვითელი ბარათი” უჩვენა. “რამდენიც არ უნდა იწუწუნოს მინისტრმა, მან თავისი გასაკეთებელი საქმე მაინც უნდა გააკეთოს, კეთილი ინებე და დაიცავი პატიმრები, არადა, თუ გაგიშვებ, ცუდად გაგიშვებ“, – ასე დაემუქრა პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრს.*

ინგა ალავიძე

როგორც მიხვდით, პრეზიდენტის მკაცრი კრიტიკა იუსტიციის მინისტრმა ციხიდან პატიმართა გაქცევების გახშირების გამო მიიღო. საქმე ისაა, რომ ბოლო თვენახევრის მანძილზე საპატიმროდან სულ 47 პატიმარი გაიქცა. თუმცა, როლანდ გილიგაშვილი პრეზიდენტის კრიტიკას არ იღებს და პრეზიდენტთან პირად აუდიენციას ითხოვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# რევოლუციური გარდაქმნები რევოლუციის გარეშე

პირველი გვერდიდან

მაგრამ, ნდობის მიუხედავად, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი გუშინდელი სტუმრების – მწერლების, რეჟისორების, მსახიობების და სხვათა საუბარი, იქნებ იმიტომ, რომ ყველა გამომსვლელი საკმაოდ გულახდილი გახლდათ, სულაც არ გამოდგა მარტივი:

*რამაზ ჩხიკვაძე:* **"ჩვენ ერთი გაჭირვება გვაქვს ყველას – გავიდა წლები, დრო საკმაოდ იყო – ათი წელი, სასიკეთო ნაბიჯებს კი ვერ ვხედავთ... მაგრამ უფრო დიდი უბედურება იქნება, თუ იმედი არ გვექნა იმ ადამიანებისა, რომლებიც უნდა მოვიდნენ ქვეყნის სათავეში... ჩვენ ბევრი რამ გვაკლია და პირველ ყოვლისა გვაკლია ჭკუა... მე დიდი იმედი მაქვს იმ ახალგაზრდების, რომელთაც ოპოზიციას უძახიან და განკუთრებით - ქალბატონი ნინოსი..."**

*გურამ საღარაძე:* **"მე, პირადად, ძალიან მაწუხებს ის საოცრება, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება... მე მესმის, რომ გარდამავალ პერიოდს დრო სჭირდება, მაგრამ დრო საკმაოდ გავიდა - 10 წელი... მე მაინტერესებს, როგორ შეიძლება პენსია იყოს 14 ლარი და ამ 14 ლარსაც არ აძლევდე მათ... მე არ ვიცი პოზიცია და ოპოზიცია. მე ვუყურებ მათ და ძალიან ხშირად ორივე მიშლის ნერვებს..."**

*კაკო დვალიშვილი:* **"მე ბოლო პერიოდში არანაირ პოლიტიკაში არ ვყოფილვარ. მაგრამ დღეს მოგმართავთ თქვენ, როგორც ქართველ ქალს, ორი შვილის დედას, მოწოდებითა და პროფესიით პოლიტიკოსს: პარლამენტართა პოლიტიკური ეჭვიანობა თქვენს მიმართ მამრთა ეჭვიანობის შედეგია... თქვენ უნდა ჩაუდგეთ სათავეში ქვეყნის სიტუაციიდან გამოყვანას... მე, 80 წელს გადაცილებულ ბერიკაცს, მინდა შეგახსენოთ, რომ ძალა ერთობაშია..."**

*გიორგი შენგელაია:* **"მე მოვედი დღეს, რათა ნინო ბურჯანაძეს გამოვუცხადო ლოიალობა. ვფიქრობ, საზოგადოებაში დღეს არსებობს მოთხოვნილება იმისა, რომ მშვიდი, უანგარო, კულტურული ადამიანის ქარიზმა გამოჩნდეს პოლიტიკაში... მე არ მაქვს ილუზია, რომ დღეს კულტურული ხალხი მოვა ხელისუფლებაში, მაგრამ მომავლისთვის უნდა დაიწყოს ნაბიჯების გადადგმა... თუ ახალმა ძალებმა არ გაიმარჯვეს, დავრჩებით ისევ ჭაობში. არის კიდევ ერთი საშიშროება – ნათელაშვილი... ასეთი საშიშროებები არსებობს, ხალხმა არ იცის ეს და ჩვენ მათ ეს უნდა გავაგებინოთ..."**

*ზურაბ კიკნაძე:* **"სულაც არ არის საჭირო პოლიტიკოსობა იმის მისახვედრად, რომ ჭაობში ვართ. გამოსავალი არის ხელისუფლების შეცვლაში. 7 ივნისის მცდელობა ოპოზიციის გაერთიანებისა სამარცხვინოდ ჩაიშალა. იქნებ ქალბატონმა ნინომ მაინც მოახერხოს განდგომილთა შემოერთება..."**

*ნატაშა ჩხიკვაძე:* **"მე ვშიშობ, რომ თუ დღეს ჩვენ გვისმენენ მაინც, რადგან წინ არჩევნებია, ხვალ შესაძლოა აღარც მოგვისმინონ... ინტელიგენცია დღეს არავის სჭირდება, თუმცა დღეს რაღაც შიში მაინც აქვთ იმისა, თუ რას იტყვის ინტელიგენცია... ჩემთვის დღეს ხელისუფლებაში მყოფები აღიქმებიან საქართველოს ოპოზიციად. ისინი არ გადმოდიან მანქანებიდან, არ დადიან ბაზარში, სადაც ხალხი ჭანჭიკებსაც კი ყიდის... ისინი ებრძვიან მეცნიერებას, კულტურას... ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად..."**

*რეზო ესაძე:* **"ამ 12 წლის განმავლობაში ვეძებდი ადგილს, სადაც შეიძლება ადამიანი ნორმალურად მოკვდეს, მოკვდეს ისე, რომ მის სიკვდილს აზრი ჰქონდეს... მე ასეთი ადგილი ამ 12 წლის მანძილზე ვერ ვიპოვე... მე მოსული ვარ აქ არა იმიტომ, რომ პოლიტიკაში ჩავერთო, არამედ იმიტომ, რომ დღეს აღარ შეიძლება, არ მოხვიდე... ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ამ გაუთავებელ ბატალიებს და ველარ ვარკვევთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის მართალი. სამაგიეროდ – გექმნება შთაბეჭდილება, რომ ერთადერთი მტყუანი შენ ხარ – მსმენელი. ერთადერთი, რაც ამ ქაოსიდან გამოვიტანე, ისაა, რომ ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა პოლიტიკური პოზიციების დათმობის მომენტები და ღირსეულად გამოდიოდა ამ სიტუაციებიდან... იგი "გაზომილია" ჩვენს მიერ და ჩვენ ერთმანეთთან მოლაპარაკების გარეშე ჩამოგვიყალიბდა პოზიცია – არა ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ, არამედ – საქართველოს სასარგებლოდ..."**

*გია ბურჯანაძე:* **აქ მოსულმა ადამიანებმა ყველამ ვიცით ქვეყნის სატკივარი. ყველანი სიმპათიით ვართ განწყობილნი და მხარს ვუჭერთ ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ რაში ვუჭერთ მას მხარს? რას გვთავაზობს იგი? საით მიდის იგი? ვინ დგას მის უკან?"**



სოფიკო ჭიაურელი: "სანამ ყველანი არ მივხვდებით, რომ ერთ ნავში ვართ, არაფერი გამოვა".

ბესო გულაშვილის ფოტო

*მიშა ქვლივიძე:* **"ვერ წარმოიდგენთ, რა საბედისწერო განწყობით ველოდები არჩევნებს. ქალბატონო ნინო, გააკეთეთ ისე, რომ ამ არჩევნებმა არ გაგვიცრუოს იმედი..."**

*სოფიკო ჭიაურელი:* **"რომ მოვდიოდი, წარმოდგენა არ მქონდა, რაზე მოვდიოდი. პრინციპად მქონდა, არ ჩავრეულიყავი არც ერთ პარტიაში, ამ თამაშებში... მე მეამაყება, რომ ეს ქართველი ქალი არის მეორე პირი ჩემს ქვეყანაში... ყოველი ჩვენგანი ვფიქრობთ ჩვენს მიწაზე, ჩვენს სამშობლოზე, ჩვენს შვილიშვილებზე... ვფიქრობთ, რომ გამოიკვეთა ერთადერთი პიროვნება და ეს პიროვნება ნინო ბურჯანაძეა. მაგრამ – რატომ ვართ ჩვენ აქ? რა შეგვიძლია ჩვენ გავაკეთოთ ისე, რომ არ ჩავერიოთ პოლიტიკაში? სანამ ჩვენ ყველანი არ მივხვდებით, რომ ერთ ნავში ვზივართ, არ გამოვა არაფერი..."**

*ოტია იოსელიანი:* **"მე ვერ ვლაპარაკობ, ამიტომ ვწერდი... მაგრამ რომ გაგიჭირდება, კი არ ილაპარაკებ, იყეფებ... სამი კვირის წინ ჩემს სოფელში 42-მა კაცმა შემოიტანა განცხადება, არ გვინდაო პრივატიზებული მიწა... 18 ტრაქტორი იყო ჩემს სოფელში და არც ერთი აღარ არის. გათიშულია ქვეყანა. 15 წლიანი გეგმა შეადგინეთ სიღარიბის დაძლევისა და მეორე დღეს გაითიშა დენი. არაფერი დაიჯეროთ, რომ აწი ამ ქვეყანას რამე ეშველოს, მაგრამ... რაღაც აქვს ამ ქალს... ზრდილობა აქვს, კულტურა, ვიცით კიდო – ქურდობაზე არაა დანაჭერი... რას იზამს? ვერაფერს ვერ იზამს. ერთი ვთხოვოთ - შეაჩეროს ნგრევა..."**

ნინო ბურჯანაძის გუშინდელი სტუმრების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ ყველა მათგანის პოზიცია ერთმა საგაზეთო სტატიამ დაიტიოს. თუმცა, ალბათ მაინც საგულისხმოა რობერტ სტურუას ყველაფერ ზემოთქმულზე არანაკლებ გულახდილი წერილი: **"სიმართლე გითხრათ, ამას წინათ დავიფიცე, პოლიტიკას გავერიდები-მეთქი, რადგან მსურს, დარჩენილი დრო ჩემს საქმეს შევალიო. მაგრამ მინდა იცოდეთ, მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს! ამიტომ, არც საკუთარ თავს ვღალატობ და არც თქვენ – წერილიც ხომ ერთგვარი თანადგომაა."**

თანამდგომთა საერთო პოზიცია (სხვადასხვაგვარად გადმოცემული), ანუ საზოგადოებრივი დაკვეთა საკმაოდ სწორად აღიქვა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც ჯერ შეხვედრაზე, შემდეგ კი ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: **"მე ვთვლი, რომ ქვეყანაში უნდა მოხდეს რევოლუციური გარდაქმნები, მაგრამ – არა რევოლუციური გზით..."**

რაც შეეხება ძალას, რომელსაც ნინო ბურჯანაძე დასაყრდენად გამოაცხადებს – პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც გუშინ მეტად სერიოზული მხარდაჭერა იგრძნო, ჯერ კიდევ არ გახლდათ მზად საკუთარი კონკრეტული პოლიტიკური და არაპოლიტიკური ძალების დასახელებისთვის. სხვა თუ არაფერი – ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ჟურნალისტებიც დაარწმუნა და პოლიტიკოსებიც, რომ კონსულტაციების დასრულებამდე პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა. თუმცა, ერთის თქმა დღეს უდავოდ შეიძლება – ნინო ბურჯანაძე ახალ პარლამენტში მოსვლას სერიოზული პოლიტიკური დასაყრდენითა და ზემოთ უკვე გაცხადებული ლოზუნგით გეგმავს. ხოლო, რადგან დრო აღარ ითმენს, დეტალები სულ მალე გაირკვევა.

# მოსკოვი, თბილისი და ტოტალური საკადრო წმენდა ცხინვალში

პირველი გვერდიდან

საკმაოდ ნიშანდობლივია, რომ რუსულ საინფორმაციო საშუალებებს გუშინ ერთი წუთითაც კი არ მოუდუნებიათ ყურადღება ცხინვალში მიმდინარე მოვლენებისადმი. არ დარჩენილა რუსული მედიის არც ერთი მეტ-ნაკლებად გავლენიანი ორგანო, რომელსაც ცხინვალში დატრიალებული მოვლენები არ გაეშუქებინა. "Время Новостей", "Газета. ru", "Утро.ru", "Вести. ru", "NTV.ru", "Lenta.ru"... ეს იმ საინფორმაციო საშუალებათა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც ამ საკადრო წმენდას საკუთარი პუბლიკაციები მიუძღვნეს. "გადატრიალება სამხრეთ ოსეთში: მთავრობა ჩამოგდებულია". "საგანგებო მდგომარეობა სამხრეთ ოსეთში..." "თანამდებობიდან გადააყენეს საკვანძო უწყებების პირველი პირები..." ეს კი ამ პუბლიკაციების სათაურებია.

საკმაოდ საინტერესოა მათი შინაარსიც, რომელიც, როგორც იტყვიან, ერთი ერთზე იმეორებს ქართული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ცნობებს.

საინფორმაციო ომის პირობებში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის დიდი ხანია მიმდინარეობს, ეს საკმაოდ არაორდინალური მოვლენაა, რადგან, იგი, როგორც წესი, სწორედ მაშინ მძაფრდება, როდესაც საქმე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ეხება. გასულმა ორმა დღემ კი სრულიად საპირისპირო ტენდენციას დაუდო საფუძველი: რუსულმა მედიამ ცხინვალის მოვლენები ისე გააშუქა, როგორც ეს ქართულმა მხარემ შესთავაზა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს პუბლიკაციებიდან:

**"ახალი ამბების რუსული სააგენტო", ქართულ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით იუწყება, რომ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.**

**ცხინვალში დააპატიმრეს რამდენიმე მაღალჩინოსანი. უშიშროების სამინისტროს შენობის სიახლოვეს ისმოდა სროლები... რუსმა სამშვიდობოებმა კონტროლქვეშ აიყვანეს ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები. ეს ინფორმაცია ჯერ არ დასტურდება ცხინვალის იფიციალური წყაროების, ასევე რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობის მხრიდან..."** (NTV.ru)

**"ქართული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ მომხდარს თან ახლდა თანამდებობებიდან გათავისუფლებულთა მხარდამჭერების შეიარაღებული გამოსვლები... სამხრეთ ოსეთში იძულებული გახდნენ, შემოეღოთ საგანგებო მდგომარეობა. თუმცა, შერეული ძალების შტაბის სარდალმა პოლკოვნიკმა იური ახმეტოვმა განაცხადა, სამშვიდობოები არავის არ მისცემენ იარაღის ჟღარუნის საშუალებას. "რობერტ ტაბუევი, რომელიც გადააყენეს უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან, დღეს მშვიდად დასეირნობს ცხინვალის ქუჩებში", – დასძინა, თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ედუარდ კოტაევმა. თუმცა, ქართული საინფორმაციო საშუალებების მონაცემებით, დაპატიმრებები ცხინვალში მაინც იყო. დაკავებულები არიან თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების სპეცრაზმების მეთაურები..."** "Время Новостей Online".

მოკლედ, რუსეთის მედიამ მოვლენები ქართულ ჭრილში გააშუქა, რამაც ცხინვალში საკმაოდ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, თავად თბილისში კი ის ეჭვი გააძლიერა, რომ საკადრო წმენდა კრემლის იმ წრეების ინიციატივაა, რომელთანაც კოკოითს ურთიერთობის საშუალება აქვს.

სხვათა შორის, ცხინვალში მიმდინარე პროცესებს თბილისი საკმაოდ მშვიდად ადევნებს თვალს. როგორც ამბობენ, უკვე გადაყენებულ ძალოვან ექსმინისტრებს არც თუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ კოლეგებთან. ასე რომ, ქართულმა მხარემ შეფარულად მოიწონა კოკოითის ეს რადიკალური ნაბიჯი და იმედი გამოთქვა, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვითარებას ცხინვალში სრულად და ბოლომდე გააკონტროლებს.

ამასობაში, რუსი და ქართველი ჟურნალისტების მიერ მოვლენების ამგვარ შეთანხმებულ გაშუქებას თავად ცხინვალში საკმაოდ გაღიზიანებულები შეხვდნენ. ჩვენთან საუბარში არაერთმა ცხინვალელმა აღნიშნა, რომ ვითარება ქალაქში სტაბილურია და ხმები საგანგებო ვითარების შემოღების თაობაზე, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად გადაჭარბებულია.

**"განხორციელდა რამდენიმე საკადრო ცვლილება და ჩვენ ეს ცნობა გადავეცით თქვენს საინფორმაციო საშუალებებს. ძალიან ბევრმა ეს ინფორმაცია გაამუქა. ქალაქში სიმშვიდეა. ქართული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციები, თითქოს ქალაქში სროლები იყო, არასწორია. საერთოდ, სროლები ჩვენთან ყოველ დღე არის, მაგრამ ამ საკადრო ცვლილებებს არ უკავშირდება. სიტუაცია ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა დაძაბეს. სწორედ ამიტომ იძულებულები გავხდით, უფრო სწორად საზოგადოება იძულებული გახდა, მოეწყო ამ გადაწყვეტილების მხარდამჭერი მიტინგი, სადაც კიდევ ერთხელ ითქვა, რომ ყველა მიესალმება ამ გადაწყვეტილებებს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ცხინვალის პარლამენტის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომისიის თავმჯდომარემ ირინა გაგლოევამ.

მისივე თქმით, ცხინვალელები სავსებით იწონებენ საკუთარი პრეზიდენტის რადიკალურ ნაბიჯებს, რადგან კოკოითის ყოფილი თანაგუნდელები აქტიურად ერეოდნენ სამეურნეო საქმიანობაში და საკადრო პოლიტიკაში.

საკუთარ პრეზიდენტს მხარდაჭერას ოსი ჟურნალისტებიც უცხადებენ. ასე, მაგალითად, ცხინვალის ტელევიზიის უფროსის მოადგილემ კონსტანტინე კოჩიევმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა:

**"პრეზიდენტმა რამდენიმე მინისტრი შეცვალა, რისი უფლებაც მას ჰქონდა. დაგეგმილი გადატრიალების თაობაზე მე მხოლოდ გუშინ შევიტყვე. ეს ადრე არსად თქმულა. ხმები ცხინვალში მას შემდეგ გავრცელდა, რაც პრეზიდენტმა გადაყენების ბრძანებებზე ხელი მოაწერა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჭორია და ამ ადამიანების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ისეთ ქმედებებს, რომელიც ასეთ ჩანაფიქრზე მიუთითებდა. თავად გადაყენებული თანამდებობის პირები თავის უფლებამოსილებას აჭარბებდნენ, უტიფრად იქცეოდნენ. შესაძლოა, პრეზიდენტს ადრეც უნდა გაეთავისუფლებინა ისინი თანამდებობიდან, მაგრამ იმის გამო, რომ მაინც მათ შორის მეგობრული ურთიერთობა იყო, აქამდე მათ მხოლოდ აფრთხილებდა. რაც შეეხება სროლებს, იყო სამი თუ ოთხი გამაფრთხილებელი გასროლა. საერთოდ, ამ ცვლილებებით უკმაყოფილონი მხოლოდ ისინი არიან, ვინც ამ თანამდებობის პირების დახმარებით ითბობდნენ ხელს. რაც შეეხება მოსახლეობას, ორი დღეა, მათთან ვურთიერთობ და ისინი, უბრალოდ, ბედნიერები არიან და ამბობენ, როგორც იქნა, ამ ადამიანებისაგან განვთავისუფლდითო..."**

# ედუარდ კოკოითის მიმართვა

ვასილ გულეური

საქ. კორ.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა 2 ივლისს პარლამენტის გაფართოებულ სხდომაზე ძალოვანი უწყებების ახალი ხელმძღვანელების კანდიდატურები წარადგინა.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილია ბალა ბესტაუტი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე – ოლეგ ალბოროვი, ხოლო მთავარი საბაჟოს უფროსის პოსტზე კონსტანტინ კაბიროვი. თანამდებობიდან ასევე გათავისუფლებულნი არიან უშიშროების საბჭოს მდივანი ალბერტ თედეევი და იუსტიციის მინისტრი ალან ჯიგკოევი, რომელთა თანამდებობებზეც პრეზიდენტს, ჯერჯერობით, არავინ წარუდგენია.

როგორც სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, ცხინვალში სამხედრო გადატრიალებას ადგილი არ ჰქონია. მისი თქმით, მინისტრები გათავისუფლდნენ იმის გამო, რომ ვერ ასრულებდნენ მოვალეობას და გადაამეტეს ძალაუფლებას, მოხდა საკადრო ცვლილებები და გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, თუ რატომ ამუქებენ სიტუაციას ქართველი ჟურნალისტები.



ედუარდ კოკოითის შეხვედრა ჟურნალისტებთან.

გუშინ ადგილობრივი მასმედიით გავრცელდა კოკოითის მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობისადმი. **„პიროვნებები, რომელთაც ძალოვან და სხვა სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობები უკავიათ, საკუთარი უპასუხისმგებლო მოქმედებებით დისკრედიტაციას უწევენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და, უპირველესად, პრეზიდენტს. ეს ადამიანები ცდილობენ დადგნენ კანონზე მაღლა, თვით რესპუბლიკის კონსტიტუციაზე მაღლაც. თვითნებურად იღებენ განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, წარმოდგებიან, როგორც უმაღლესი სახელისუფლებო ინსტანცია, ერევიან აღმასრულებელ-განმკარგულებელ და სამეურნეო საქმიანობაში, მიმართავენ შანტაჟს და მუქარას.**

**მე არაერთხელ მივუთითე ამ ადამიანებს მათ ბოროტმოქმედებაზე, მოვუწოდე, შეესრულებინათ საკუთარი მოვალეობები, მაგრამ მათ არ გააკეთეს შესაბამისი დასკვნები...**

**იმიტომ კი არ გავედი საპრეზიდენტო არჩევნებში, იმიტომ კი არ შექმნა ჩვენმა ხალხმა საკუთარი რესპუბლიკა, იცავდა რა მის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რომ იგი ადამიანთა ვიწრო ჯგუფის კერძო საკუთრება გახდეს... როგორც სახელმწიფოს მეთაურმა და კონსტიტუციის გარანტმა, მე უნდა გავაკეთო ყველაფერი, რომ განვამტკიცო კონსტიტუციური წესრიგი, უზრუნველვყო ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქის უფლებების დაცვა.**

**მე დღეს ხელი მოვაწერე რიგ ბრძანებულებებს, რომლებიც მიმართულია სიტუაციის სტაბილიზაციისკენ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბრძანებულებებს რესპუბლიკის მოსახლეობა გაგებით მიიღებს და პარლამენტი მხარს დაუჭერს. ბრძანებულებების შეუსრულებლობის ნებისმიერი მცდელობა დაუყოვნებლივ აღიკვეთება, ხოლო დამნაშავენი დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით“** – ნათქვამია მიმართვაში.

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე ეუთო-ს ახალი ვიცე-პრეზიდენტების არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, 4 ივლისს ჰოლანდიაში გაემგზავრება და 9 ივლისს, როტერდამში, ეუთო-ს ახალი ვიცე-პრეზიდენტების არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ეუთო-ს ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მე-12 სესიის მუშაობის ფარგლებშია დაგეგმილი. ყოველწლიური სესია ევროპის ახალ სტრუქტურებში ეუთო-ს როლსა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნება.

ბურჯანაძესთან ერთად, ჰოლანდიაში ვახტანგ ყოლბაია, ადა მარშანია და კახა ჩიტაია გაემგზავრებიან.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდება ნიდერლანდების სამეფოს გენერალური შტაბის წარმომადგენლობითი პალატის პრეზიდენტს, სამეფოს ფინანსთა მინისტრს, ვიცე-პრემიერს, საგარეო საქმეთა მინისტრის პირად წარმომადგენელს ეუთო-ში.

ქართული საპარლამენტო დელეგაცია თბილისში 10 ივლისს დაბრუნდება.

*ინტერ-პრესი*

### „იძებნება“ ეროვნული იდეოლოგია

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისია და ფრაქცია „აფხაზეთი“ საზოგადოებას სთავაზობენ, რომ დაიწყოს მუშაობა ეროვნული იდეოლოგიის შესამუშავებლად. სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილია კონფერენციის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობის შეთავაზება გაეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ცნობილ პოლიტიკოსებს, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამ წამოწყების ერთ-ერთმა ინიციატორმა, ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრმა აკაკი გასვიანმა აღნიშნა, რომ ეროვნული იდეოლოგია უნდა დაეფუძნოს ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიას, ხოლო მისი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ქართველებისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის სულიერი ერთობა, მათი მზაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

*24 საათი*

### მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი

საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლ "შავნაბადას" ბატალიონის მეომართა ხსოვნის საპატივცემულოდ მემორიალის გახსნის ცერემონიალი ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გაიმართა. "შავნაბადა" აფხაზურ და ოსურ კონფლიქტებში მონაწილეობდა. 1993 წლის ივლისში, აფხაზეთის სოფელ ტამიშში, დესანტის გადმოსხმისას ქვედანაყოფმა 67 მებრძოლი დაკარგა.

ცერემონიალზე თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, რომ "შავნაბადას" ბატალიონის მებრძოლები ყოველთვის ჭეშმარიტი გმირობის მაგალითად დარჩებიან. დღეისათვის "შავნაბადას" ბატალიონი თავდაცვის სამინისტროს მეთერთმეტე მოტომსროლელი ბრიგადის 113-ე ბატალიონია.

*პრაიმ-ნიუსი*

### ასლან აბაშიძის ოპონენტები პოლიტიკურ პარტიას აფუძნებენ

*თბილისი.* აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძისადმი რადიკალურად განწყობილი ძალები პოლიტიკურ პარტიას აფუძნებენ და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან.

აბაშიძის ყოფილი თანაგუნდელი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, 1999 წლიდან პოლიტიკური დევნილის სტატუსით გერმანიაში მცხოვრები ლევან ქიძინიძე, თანამოაზრეებთან ერთად, პროფკავშირულ ცენტრში (ყოფილი ოფიცერთა სასახლე) „დემოკრატიული სიმართლის პარტიას“ დააფუძნებს.

ასლან აბაშიძის ყოფილმა თანაგუნდელმა ქიძინიძემ აჭარის ლიდერი 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური დაპირისპირების დროს აფხაზთა მხარდაჭერაში დაადანაშაულა, მის სახელს საქართველოს ეროვნული გმირის ჟიური შარტავას მკვლელობა დაუკავშირა და სოხუმის დაცემის დღეს - 1993 წლის 27 სექტემბერს - აფხაზ სეპარატისტთა ლიდერთან - ვლადისლავ არძინბასთან ერთად გუდაუთაში ყოფნა დასდო ბრალად.

*ინტერ-პრესი*

### "შავი ოთხშაბათი" საბაჟოზე

პირველი გვერდიდან

წმენდის მიზეზი საბაჟოს კუთხით შეუსრულებელი საბიუჯეტო ვალდებულება გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საბაჟოს მიერ ხაზინაში შეტანილი თანხები სავალუტო ფონდის პარამეტრებით გათვალისწინებულ თანხებს მილიონნახევარი ლარით აჭარბებს, ბიუჯეტით გათვალისწინებულ გეგმაში გარღვევაა. მაისისა და ივნისის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ექვსი თვის მონაცემებით, დეპარტამენტს ოთხი მილიონი ლარი დააკლდა.

სხვათა შორის, გუშინვე, დილით, საბაჟოზე ჩატარებული საკადრო წმენდის წინ, დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი საბაჟოს მაკონტროლებელი უწყებების შემცირების ინიციატივით გამოვიდა. საბაჟოს მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად მან დეპარტამენტთან სპეციალური 70-კაციანი მობილური რაზმის შექმნა, მებაჟეთა უფლებამოსილების გაზრდა და საბაჟოსათვის ოპერატიული სამძებრო ფუნქციის მინიჭება მოითხოვა. მაკონტროლებელთა შეზღუდვის იდეა მოიწონა შევარდნაძემაც და გამოთქვა მოსაზრება, რომ რაც უფრო მეტი მაკონტროლებელი ეყოლება ამ ორგანიზაციას, მით უფრო გაუჭირდება საკუთარი ფუნქციების შესრულება.

როგორც ჩანს, საბაჟოზე სერიოზული ცვლილებები იგეგმება. ამას ისიც ადასტურებს, რომ თანამდებობაზე ახლად დანიშნული დავით თარხან-მოურავი, თავიდან, საკადრო ცვლილებებზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბაჟოს არსებული შემადგენლობის დათხოვნას, მინიმუმ, თანამშრომელთა ატესტაციამდე არ აპირებდა.

ამდენად, მისი გადაწყვეტილება საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც თავად თარხან-მოურავმა აღნიშნა, საკადრო ცვლილებები აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურსა და ფინანსთა მინისტრთან იყო შეთანხმებული.

**„ბიუჯეტის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებს ჩვენი სპეციალური კომისია სამი კვირის ვადაში – 25 ივლისამდე შეისწავლის. თუ რეგიონული საბაჟოების უფროსების საქმიანობაში დარღვევები აღმოჩნდება, კომისია მასალებს პროკურატურას გადაუგზავნის,“** – განუცხადა დავით თარხან-მოურავმა „24 საათს“.

ანალოგიური კომენტარი გააკეთა ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმაც. მისი თქმით, უახლოეს მომავალში მსგავსი საკადრო ცვლილებების გატარება არც საგადასახადო დეპარტამენტშია გამორიცხული.

### ბიუჯეტის სეკვესტრი 100 მილიონ ლარზე მეტი იქნება

პირველი გვერდიდან

გუშინ საღამოს ხუთი საათიდან სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტთან, მოგვიანებით კი სახელმწიფო მინისტრთან მთავრობის ეკონომიკური გუნდის შეხვედრები მიმდინარეობდა. დაახლოებით ცხრა საათზე კანცელარიაში სავალუტო ფონდის მისია სრული შემადგენლობით მივიდა. გავრცელებული ინფორმაციით, მისიის წარმომადგენლები მთელი დღის მანძილზე მემორანდუმის სამუშაო ვარიანტს ამზადებდნენ. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე აცხადებს, კანცელარიაში მორიგი სამუშაო შეხვედრა შედგა. ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა წარმოადგინა გეგმა, თუ როგორ აპირებს შექმნილი საბიუჯეტო კრიზისის დაძლევას. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, **"ექვსი თვის ბიუჯეტში, აჭარის გარეშე, დეფიციტი 90 მილიონი ლარია. სეკვესტრი შემოსავლების გეგმაში იქნება 85-87 მილიონი ლარი. მაგრამ გარდა ამისა გარკვეული ხარჯების მიმართულებები შეიცვლება და ხარჯები დამატებით კიდევ 30 მილიონი ლარით შეიკვეცება."** სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე კი აცხადებს, რომ ბიუჯეტის კორექტირების ზუსტი რიცხვები მხოლოდ ორ დღეში გახდება ცნობილი და იგი, შესაძლოა, გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე 90 მილიონია. **"აღმასრულებელი ხელისუფლება შესაძლოა უფრო დიდი ციფრით წარსდგეს პარლამენტში იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც დღეს შეიქმნა შემოსავლებში და ხარჯებში,"** – აცხადებს ისაკაძე. სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, ივნისის თვის სოციალურ ვალდებულებებს ფინანსთა სამინისტრო ივლისის 15 რიცხვამდე ვერ გაისტუმრებს.

მეორე საკითხი, რაზეც კანცელარიაში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს ენერგეტიკის ტარიფია. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა აცხადებს, ტარიფი აუცილებლად უნდა გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა საერთაშორისო დონორი შეწყვეტს პროგრამების განხორციელებას. მათ შორის შეწყდება ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ევრობანკის კრედიტით ხორციელდება.

შეხვედრიდან გამოსული ყველა ოფიციალური პირი უარყოფს ინფორმაციას მირიან გოგიაშვილის თანამდებობიდან წასვლის შესახებ. **"ეკონომიკური გუნდი ძველი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას,"** – აცხადებს გიორგი ისაკაძე.

## ორი სიტყვით

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა 2 ივლისის მთავრობის სხდომაზე საგანგაშო უწოდა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას პროდუქტების ფალსიფიკაციის მხრივ. ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა საბაჟო კონტროლის გამკაცრების საკითხზე და აღნიშნა, რომ ამ უწყებას უნდა მიეცეს ყველა უფლება, რათა შემდგომში პასუხისმგებლობას თავი ვერ აარიდოს. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის მონაცემებით, სოფლის მაღაზიებსა და სავაჭრო ქსელში საკვები პროდუქციის 70-80 პროცენტი ფალსიფიცირებული, კონტრაბანდული, ვადაგადაცილებული და სიცოცხლისათვის საშიშია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტმა მიიღო საგადასახდო კოდექსში ცვლილებები, რომლითაც კერძო სადაზღვევო კომპანიები 30-პროცენტიანი სოციალური გადასახადისგან გაათავისუფლეს. როგორც სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აცხადებენ, შეღავათი ეხება მხოლოდ იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც საპენსიო დაზღვევას მოემსახურებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გადაწყვეტილებით, ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის 200-მდე გაფიცული თანამშრომელი 2-3 თვის სახელფასო დავალიანებას მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისრაელის მოქალაქე, 22 წლის რამილ ჯამალოვი ნარკოდანაშაულისთვის პოლიციელებმა 30 ივნისს დააკავეს. ჯამალოვს ჩხრეკისას 0.5 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი ჰქონდა, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან შემოიტანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, თბილისში, ფიფიას ქუჩაზე, 40-45 წლის უცნობი მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. გვამს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უბედური შემთხვევა მოხდა გუშინ დაბა წყნეთში. საავარაკო სახლის სახურავიდან ჩამოვარდა 49 წლის დავით მაისურაძე, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. დაბა წყნეთში საგარეჯოელი დავით მაისურაძე მშენებლობაზე მუშაობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** გალის რაიონის სოფელ თაგილონში, განაღმვითი სამუშაოების შესრულებისას, ნაღმზე აფეთქდა ინგლისური ორგანიზაცია "ჰელოუ ტრასტის" სპეციალისტი გურამ მანია. მანია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ხელის ამპუტაცია ჩაუტარდა. მედიკოსთა მონაცემებით, ამჟამად პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი სამართალდამცავების მიერ ძებნილი ბასილ მკალავიშვილი შეიძლება საბერძნეთში იმალებოდეს. გლდანის ეპარქიის წევრის ვახტანგ დადუნაძის განცხადებით, სავარაუდოდ, ბასილი ამჟამად ან ბულგარეთშია, ან საბერძნეთში, თუმცა იგი მაინც ახერხებს ეპარქიის მეთაურობას და მრევლისთვის დირექტივების მიცემას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე "შავნაბადას" ბატალიონის დაღუპულ მეომართა ხსოვნის მემორიალი გაიხსნა. მასზე იმ 67 მეომრის სახელი და გვარია ამოტვიფრული, რომლებიც 10 წლის წინათ სოფელ ტამიშთან დაიღუპნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მთავრობის დაპირებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები ახალი სასწავლო წლიდან კუთვნილ ხელფასებს იმაზე 10 დღით ადრე მიიღებენ, ვიდრე - გასულ სასწავლო წლებში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიწისძვრით დაზარალებულები უკმაყოფილონი არიან, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 4 მილიონი ლარი საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრმა უნდა განკარგოს და მერიასთან აქციას მართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტია ქალაქის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუნიციპალური პროგრამის ჩაგდების მცდელობაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდაზე მდებარე თუმანიანის სახელობის მე-13-ე ბიბლიოთეკის ფილიალი, შესაძლოა, ეთნიკური დაპირისპირების მიზეზად იქცეს. იგი იმ თორმეტი ბიბლიოთეკის სიაში მოხვდა, რომელიც პრეზიდენტის 1997 წლის ბრძანებით გაიყიდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქალაქო სამსახურს დაქვემდებარებული სპორტული სკოლები საბიუჯეტო თანხებს არაეფექტურად გამოიყენებენ", - ითქვა თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის გუშინდელ სხდომაზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკავშირის პროექტის, "ტემპუს-ტასისის" ფარგლებში, განათლების სამინისტროში დღეს ერთდღიანი სიმპოზიუმი გაიმართება. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ეს პროექტი მსოფლიოს 23 ქვეყანაში მოქმედებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-6 სამუსიკო სკოლა ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს განახლებულ გარემოში მიიღებს. მიწისძვრით დაზარალებული ამ უძველესი სკოლის აღსადგენად მერიამ 100 ათასი ლარი გამოყო. **ინტერ-პრესი**

# "ეს მე ვარ, ედიჩკა!"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*



*რუსეთში ნაციონალ-ბოლშევიზმის იდეა დაბრუნდა*

ოცდაექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა რუს ნაციონალ-ბოლშევიკთა სულიერი ლიდერი და ცნობილი მწერალი ედუარდ ლიმონოვი, რომელიც ხელისუფლებამ სწორედ ზემოთხსენებული იდეებისათვის გაასამართლა და მავნე იდეოლოგიის პროპაგანდისათვის მცირე ხნით დასაჯა.

როცა ლიმონოვის პარტია რუსეთის რეგიონებსა და მოსკოვის ქუჩებში "ნაცმენებისა" და "ხაჩიკების" წინააღმდეგ თავისებურად იბრძოდა, ლიმონოველებს რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები მოსაჩვენებელ დარბევებს უწყობდნენ. ნაციონალ-ბოლშევიზმმა რუსეთის სინამდვილეში გასაქანი მაშინ ჰპოვა, როცა კრემლმა სერიოზული განაცხადი გააკეთა პატრიოტიზმის იდეებთან მიბრუნებაზე, როცა ხელისუფლებამ რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე გაბნეული თანამემამულეების ინტერესების დასაცავად გრძელვადიანი პროგამა შეიმუშავა და ამ პროგრამის განსახორციელებლად ძალებს არ იშურებს. ხალხში, რუსულ ინტელიგენციაში უზომოდ პოპულარული ედუარდ ლიმონოვი ციხიდან გამოსვლის შემდეგ აცხადებს, რომ სანამ პუტინი კრემლშია, რუსეთში პატრიოტული სულის გამარჯვების იმედი აქვს.

რუსული წყაროების მტკიცებით, ხელისუფლებისა და ნაციონალ-ბოლშევიკთა პარტიის საიდუმლო გარიგების თანახმად, ციხიდან გამოშვებული ლიმონოვი დღეიდან რუსი ნაციის სიწმინდისათვის იბრძოლებს. მოსკოვში დაბრუნებისთანავე, საკუთარი პარტიის სარდაფში, სადაც ლიმონოველთა შტაბ-ბინაა (სხვათაშორის, მოსკოვის ცენტრში), სახელდახელო პრესკონფერენციაც გაიმართა, რომელზედაც მწერალმა-ლიდერმა განაცხადა, რომ იგი იბრძოლებს რუსი ხალხის ინტერესებისათვის დამოუკიდებელი თანამეგობრობის რესპუბლიკებშიც.

"რუსული ნაციონალ-ბოლშევიზმი ფაშიზმისა და ახალრუსული ლიბერალიზმის უცნაური სიმბიოზია, რომელსაც ვლადიმირ პუტინი მოახლოებული არჩევნებისათვის გამოიყენებს,-აცხადებს "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში ცნობილი რუსი სამართალდამცველი და დისიდენტი ვალერია ნოვოდვორსკაია,- ლიმონოვის თავხედური განცხადება დიდ პოლიტიკაში დაბრუნებაზე სხვა არაფერია, თუ არა დამნაშავეობისა და ვიწრო ნაციონალისტური იდეების გაღვივება. რუსეთის პარლამენტში ადგილი ლიმონოვისთვის მხოლოდ კომუნისტურ პარტიაში მოიძებნება, სადაც მისნაირი პატრიოტები სხედან. არც ის გამიკვირდება, თუ ხვალ ლონდონიდან ბორის ბერეზოვსკი ჩვენს გმირს მიესალმება და მასთან კავშირებს გააბავს," - დასძენს ნოვოდვორსკაია.

მოსკოვში დაბრუნებისთანავე გამართულ პრესკონფერენციაზე მწერალმა ლიმონოვმა არ დამალა თავისი სიმპატიები ცნობილი ოლიგარქისადმი და მასთან ალიანსი რეალურად ჩათვალა. ბერეზოვსკისა და ლიმონოვის იდეები ერთმანეთს თუნდაც იმაში ეთმხვევა, რომ მწერალი ჟურნალისტებს მორიგ რევოლუციას დაჰპირდა. ჟურნალისტებმა ვერაფრით ათქმევინეს ნაციონალ-ბოლშევიკების კუმირს, როგორი იქნება ეს რევოლუცია, ხავერდოვანი, ყავისფერი თუ უსისხლო? საქმე ის არის, რომ ლიმონოველების მიერ მოსკოვის ქუჩებში გამოტანილი დღევანდელი ლოზუნგი - "ლიმონოვი პუტინის მაგივრად" - რუსეთის ლიბერალურმა ძალებმა უკვე მონათლეს, როგორც აშკარა გამოწვევა და მოახლოებულ არჩევნებში ნაციონალ-ბოლშევიკების მონაწილეობაზე სერიოზული განაცხადი.

მოსკოვის ვაგზალზე პატიმრობიდან დაბრუნებულ ედუარდ ლიმონოვს დეპუტატი ვასილი შანდიბინი თავის თანაპარტიელებთან ერთად დახვდა და შინ რუსეთის დუმის "მერსედესით" მიაბრძანა. მოსკოველი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ რუსი კომუნისტების ლიდერის გენადი ზიუგანოვის მომავალ პერსპექტიულ კონტაქტებს ნაციონალ-ბოლშევიზმის იდეის აპოლოგეტთან. რუსი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ საპარლამენტო არჩევნებში ლიმონოველები სერიოზული პარტიის სახით შეემატებიან წინასაარჩევნო რუსეთის ჭრელ სპექტრს. ამ სპექტრში, დამკვირვებლების აზრით, გამორიცხული სულაც არ არის ბერეზოვსკი-ლიმონოვი-ზიუგანოვი-პროხანოვის ალიანსი. ორი მწერალი, ერთი ოლიგარქი და ერთიც დეპუტატი სერიოზული ძალაა იმისათვის, რომ პრეზიდენტ პუტინს ოპოზიცია გამოუჩნდეს. ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ არჩევნების წინ რუსული იდეა მარტო არ დარჩება. მას უთუოდ შეემატება დროის მიერ მოტანილი ახალი რეზერვი - ნაციონალიზმ-ბოლშევიზმი.

ვალერია ნოვოდვორსკაია: "ფაქტია, რომ დღეს ჩვენი ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია ნაციონალ-ბოლშევიზმის იდეების აღზევება, რადგანაც რუსული ელექტორატი საკუთარი ნაციის ინტერესების დაცვაზე იქნება ორიენტირებული. პუტინის - როგორც რუსეთში რკინის დისციპლინის - ხატი პლუს ზიუგანოვ-ლიმონოვ-პროხანოვის ერთობა მშვენიერი პუბლიკაა იმისთვის, რომ თუ ლონდონიდან ბერეზოვსკის ფინანსები დაეხმარა, ლიმონოვის მიერ დაპირებული რევოლუციაც მივიღოთ. ამ ძალას სერიოზული პროცესების გამოწვევა შეუძლია, და არა მარტო რუსი ხალხის ცნობიერებაში," - აცხადებს რუსი დისიდენტი.

რატომ გამოუშვეს ციხიდან "ედიჩკა"? ლიმონოვის ადვოკატის თქმით, ხელისუფლებას აღარ შერჩა ამ ძლიერ პიროვნებასთან ბრძოლის რესურსი. ფაქტია, რომ "ეს ძლიერი პიროვნება" შეუმჩნევლად მოვიდა წინასაარჩევნო რუსეთში. ლიმონოველთა ცნობილი ემბლემა - წითელ ფონზე თეთრ რგოლში ჩასმული ნამგალი და ურო - საშიშად იგივდება ნაცისტურ სვასტიკასთან. თუ მოსკოვში კავკასიურ "პოგრომებსა" და სკინჰედთა მთავარ ლოზუნგებს გავიხსენებთ, შეიძლება იმის წარმოდგენაც, როგორი სახე ექნება პატიმრობიდან შეწყნარებულ და გამოღვიძებულ მხეცს.

# ბუკიას ბაღს გივი თარგამაძემ უნდა უშველოს

მოსახლეობამ გუშინ ბუკიას ბაღში საპროტესტო აქცია მოაწყო და თხრილები მიწით ამოავსო, - ბაღი გაყიდულია და იქ ხეების მოჭრა და სავაჭრო პავილიონების ჩადგმა უნდათო.

ბაღს ქალბატონ ლეილა ბუკიას საპატივცემულოდ ჰქვია სახელი. მეზობლების თქმით, ღრმად მოხუცებული ლეილა ბუკია სწორედ ბაკურაძის საქციელს მოუნელებია. "მაგას მისდევდა ჯოხით ხელში," - გვითხრა ერთმა ქალბატონმა, რომელიც ნახევარი საუკუნეა იმ უბანში ცხოვრობს. ლეილა ბუკია ახლანდელი ბაღის და მის უკან მდებარე ტერიტორიის მფლობელი იყო, რომელსაც იქ "სადედე ბაღი" გაუხსნია, საიდანაც ყვავილების ნერგები მიჰქონდათ. მას ბაღის ტერიტორიის ნაწილი თავისი ნებით უჩუქებია მოსახლეობისთვის.

ცხრა წლის წინ გამოჩნდა რეზო ბაკურაძე, რომელიც, როგორც თქვეს, პარლამენტარ ვოვა ქარსელაძის და პოლიციის გენერალ კახა ბაკურაძის ახლობელი ყოფილა, და აღნიშნული ტერიტორია სახელმწიფოსგან შეუძენია.

ამას წინათ ბაღში მუშები გამოჩნდნენ და მიწა ამოთხარეს, -



*"დამტკიცებულ პროექტთან" მებრძოლი*

სავაჭრო პავილიონები უნდა დაიდგასო. "ეს ხეებიც მოსაჭრელია, უკვე დაბერებულია", - თქვა ინჟინერმა ღადუამ, მშენებელი ორგანიზაცია "ბია"-ს წარმომადგენელმა, რომლსთვისაც შპს "მაია"-ს დაუკვეთია სამშენებლო სამუშაოები.

მშენებლობის ნებართვა ხელმოწერილია თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის უფროსის, ს.ვაშაკიძის მიერ და 2001 წლის 16 იანვრით თარიღდება.

მშენებლობა შეფასებულია 44 631 ლარად; პროექტი დამტკიცებულია თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ. 1999 წელს მთავარი არქიტექტორის ბრძანებით შეთანხმებული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის დაწყების ვადა გაგრძელებულია 2002 წლის 22 იანვრიდან.

"ჩვენ გივი თარგამაძემ უნდა გვიშველოს", - ამბობენ იქ მაცხოვრებელი მოქალაქეები. როგორც გავიგეთ, გივი თარგამაძემ, მართლაც, აღუთქვა მათ რამდენიმე დღეში საქმის მოგვარება.

*24 საათი*

# "წინასაარჩევნოდ სიგარეტის კონტრაბანდა მოიმატებს"

*თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრმა გუშინ პრეზიდენტთან ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. თამბაქოს მოწინააღმდეგენი მირიან გოგიაშვილთან ერთად სამინისტროს უწყებების, საგადასახადო დეპარტამენტისა და საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვენ.*

ნანა ქადაგიშვილი

თამბაქოს საწინააღმდეგო ორგანიზაციებმა სიგარეტის ბაზრის ფინანსურ-ეკომონიკური სექტორის მონიტორინგი უკვე დაასრულეს და საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვისაც ისედაც კარგად ცნობილი რეალობა სააშკარაოზე გამოიტანეს.

"ამჟამად საქართველოში სიგარეტის ბაზრის 80 პროცენტი არალეგალურია. ფინანსთა სამინისტრო კონტრაბანდული პროდუქციის მომრავლებას, ძირითადად, დევნილებს აბრალებს, რეალურად კი არალეგალური ბაზრით ყველა მაკონტროლებელი უწყება, ადგილობრივი მწარმოებლები, იმპორტიორები და მათი ლობისტი პოლიტიკოსები ითბობენ ხელს. არჩევნების წინა თვეებში სიგარეტის კონტრაბანდა ერთი-ორად მოიმატებს. ორი კვირის წინათ პრეზიდენტსა და მინისტრებს ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები მოვახსენეთ, მაგრამ - უშედეგოდ. ფინანსთა მინისტრმა პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ თბილისში ერთ ცალ უაქციზო სიგარეტსაც ვერ ნახავთ", - აცხადებენ თამბაქოს მოწინააღმდეგენი და ფინანსთა სამინისტროს არალეგალურად შემოტანილი და უაქციზო სიგარეტის დასახელებებსა და ადგილმდებარეობას შეახსენებენ.

არალეგალურ ბაზარზე ლიდერობს "ტროიკა", "დონსკი ტაბაკი", "ნოვოსტი", რომელთაც არ ჩამორჩება მშობლიური "პრიმა", რომლის მწარმოებელი ფირმის სახელწოდების გარდა, ვერაფერი დადგინა. "დელისის" საქმიანობის დამადასტურებელი საბუთი არც ერთ შესაბამის უწყებაში არ არსებობს. ამის მიუხედავად, "დელისის" მიერ წარმოებული 30-თეთრიანი "პრიმა" სიგარეტის ბაზარზე მეფობს", - აცხადებს ცენტრი.

"დელისის" შემდეგ მეორე ადგილი უკავია "თბილთამბაქოს", რომლის წარმოებული "ივერია" შეუფუთავად და უაქციზოდ იყიდება. "თბილთამბაქო" უშვებს შეფუთულ პროდუქციასაც, ვითომ რუსეთში გასატანად, სინამდვილეში კი "ივერია" ერგნეთის საცავებში ჩერდება და შემდეგ უკან ბრუნდება.

თამბაქოს მოწინააღმდეგეებს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გამოუვლენიათ. "არალეგალური და უაქციზო სიგარეტის დიდი პარტიები, რომელიც მეპატრონეებს სასამართლოს წესით ჩამოერთმევათ, ცოტა ხანში კვლავ ბაზარზე ბრუნდება", - აცხადებს ცენტრი.

ფინანსთა სამინისტრო ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და, თავის გასამართლებლად, სიგარეტის განადგურების ტელევიზიით ნაჩვენებ ფაქტებსა და ბოლო კვირაში ბაზრიდან ამოღებული უაქციზო პროდუქტის რაოდენობას (16 190 კოლოფი) ასახელებს. თამბაქოს მოწინააღმდეგენი კი ირწმუნებიან, რომ ამოღებული სიგარეტის მხოლოდ მცირე ნაწილი ნადგურდება მასმედიისთვის საჩვენებლად.

# "კმარა" გულზე მოვიდა

"მათი აქ მოსვლით არაფერი გაკეთებულა" - აცხადებს ჯანდაცვის სამინისტრო

გუშინ, ვიდრე ჯანდაცვის სამინისტროს შესასვლელთან "კმარას" აქცია მიმდინარეობდა, ანდრო ალავიძისთვის დაურეკავთ და "ჯო ენის" კლინიკაში მისი ახალშობილი შვილის გულის სასწრაფო ოპერაციაზე თანხმობა განუცხადებიათ.

"კლინიკა ოპერაციას არ აკეთებს, ვიდრე სამინისტრო თანხას არ გადაიხდის. სამინისტრო კი, - გააკეთეთ და მერე გადავრიცხავთო, - ეუბნება. ბავშვია გადასარჩენი, ამის დროა?! ჩვენ ვაიძულებთ, რომ დროზე გადარიცხონ ფული", - ამბობდნენ აქციის მონაწილენი.

თანხმობის შეტყობის შემდეგ - ჯერჯერობით კმარა და დავიშალოთო, - გასცა ბრძანება "კმარას" აქციის ორგანიზატორმა და მიღწეულით აღტკინებულმა ახალგაზრდებმა სამინისტროს კიბეები დატოვეს. გზადაგზა სამინისტროში დახმარების სათხოვნელად მისულ მოქალაქეებს რჩევებს და საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსაც უტოვებდნენ.



*"კმარა" ჯანზეა*

კმარისტებისგან დაცლილი კიბეები რამდენიმე წუთში სამინისტროდან გამოსულმა მოხელეთა ჯგუფმა დაიკავა. "მათი აქ მოსვლით არაფერი გაკეთებულა. ბავშვის ოპერაციაზე არც კლინიკას და არც სამინისტროს უარი არ უთქვამს და გაუკეთდება კიდეც", - განაცხადა მინისტრის მოადგილემ იაგო კალანდაძემ.

"ჯო ენის" კლინიკის ისტორიაში პირველად არ ხდება, როცა პაციენტის ოპერაცია ხმაურს იწვევს, მაგრამ, როგორც კლინიკაში აგვიხსნეს - მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. არსებობს გეგმიური 18-22 ოპერაციის რეჟიმი და სპეციალური გადაუდებელი ოპერაციები, რომლებიც სპეციალურ დაფინანსებას მოითხოვს. ახალშობილ ალავიძის ოპერაცია ამგვარი შემთხვევაა.

*24 საათი*

## მოკლედ

### ასანიძის საქმეს სტრასბურგში შემოდგომაზე განიხილავენ

ბოლო ხანებში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილ საჩივართა რიცხვი მომრავლდა; თუმცა, მიუხედავად ამისა, ევროსასამართლოს ხანგრძლივი პროცედურული ბარიერები მხოლოდ ორმა მათგანმა გაიარა და არსებით განხილვაზე იქნა დაშვებული. ესენია სარჩელები სახელწოდებით: "გურამ აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ" და "თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ". ორივე სარჩელი, როგორც ცნობილია, უკანონო პატიმრობას ეხება და ორივეს სამართლიანად ცნობის შემთხვევაში, საქართველოს ბიუჯეტი იზარალებს, თანაც - არაერთი მილიონით. თუმცა, ამგვარი ზარალის მიღების შემთხვევაში პასუხი არ მოეთხოვებათ მათ, ვინც უკანონობა ჩაიდინა – აბსანძის შემთხვევაში - ძალოვნებს, ასანიძესთან მიმართებაში კი აჭარის ლიდერს.

ჯერჯერობით, უცნობია, თუ როდის შეუდგება ევროსასამართლო გურამ აბსანძის საქმის განხილვას. ცნობილია ის, რომ მისი სარჩელი არსებით განხილვაზე მხოლოდ ნაწილობრივაა დაშვებული. ასევე უცნობია თენგიზ ასანიძის სარჩელის არსებითი განხილვის დაწყების ზუსტი თარიღი, თუმცა, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენლის ლაშა ჭელიძის თქმით, განხილვა შემოდგომაზე – სექტემბერში ან ოქტომბერში გაიმართება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებენ.

### ჯარისკაცების დეფიციტი

მას შემდეგ, რაც "სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილება შევიდა და სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავის დაძვრენა ბეგარის გადახდითაც შესაძლებელი გახდა, ჯარში ჯარისკაცის დეფიციტი იგრძნობა. კანონით, ამჟამად ამა თუ იმ რაიონიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ახალგაზრდების გაწვევაზე პასუხს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები აგებენ. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში რეგიონული სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე ამ საკითხზე რწმუნებულ-გამგებლებს უსმენდა. 2003 წლისთვის გაწვევის გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ, 61 პროცენტით არის შესრულებული. ბუნებრივია, ამის გამო, ტკბილ სიტყვაზე მეტს ბოჭორიძე რწმუნებულ-გამგებლებს საყვედურს ეუბნებოდა. "ოროსან" ქალაქებს შორის აღმოჩნდნენ ქუთაისი, ფოთი, ახმეტა, ზუგდიდი, სიღნაღი, ონი და ა.შ. ყველაზე მეტად გუშინ ლენტეხის გამგებელს გაუწყრნენ, საიდანაც წელს ჯარში ნოლი გაწვევაა დაფიქსირებული. წარმატებით უმკლავდებიან სამუშაოს და დაწესებულ ნორმას თბილისის და მარნეულის წარმომადგენლები.

შინაგანი ჯარის სარდალი გია შერვაშიძე გუშინ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შინაგანი ჯარი მხოლოდ 27 პროცენტითაა დაკომპლექტებული და თუ ასე გაგრძელდა, მალე ერთ ჯარისკაცს ხუთი ჯარისკაცის მაგივრობის გაწევა მოუწევს. მით უმეტეს, მას შემდეგ, თუ პენიტენციალური სისტემის პერიმეტრის დაცვის ფუნქციაც მის უწყებას დაეკისრა. სარდალი აშკარად საგონებელში იყო ჩავარდნილი და ვერ გაერკვია, თუ საიდან უნდა "ეშოვა" საამისოდ საჭირო კიდევ 1600 ახალგაზრდა. დაახლოებით იგივე პრეტენზიები და პრობლემები აქვთ საზღვრის დაცვისა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებსაც. მდგომარეობის გამოსასწორებლად გუშინ ბევრი რაიონის მეთაური თავად იძლეოდა პირობას. ზოგსაც დაჰპირდნენ, რომ გეგმის შეუსრულებლობის გამო მკაცრ ზომებს მიიღებდნენ. კონკრეტულად კი, დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლებდნენ.

### "ბოინგმა" ორი დიდი შეკვეთა მიიღო

თავისი ევროპელი კონკურენტის - "ეარბასისგან" ერთობ შევიწროებულმა "ბოინგმა", ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ზედიზედ ორ სერიოზულ გარიგებას გამოჰკრა ხელი. ჯერ კიდევ ორშაბათს ავიამწარმოებელმა იაპონური "ნიპონ ეარვეიზისაგან" 45 ცალ ლაინერზე შეკვეთის მიღების შესახებ განაცხადა. ორი დღის შემდეგ კი, კომპანიამ შეკვეთა მიიღო აშშ-ის ადგილობრივი გადამზიდავის - "ეარტრენისაგან." ეს უკანასკნელი "ბოინგს" 50 ცალ "737"-ს უკვეთავს და შესაძლოა, ახლო მომავალში კიდევ ამდენივე დაუკვეთოს. გარდა ამისა, "ეარტრანმა" "ბოინგს" 10 ცალი "717"-იც დაუკვეთა.

გარიგების ფინანსური დეტალები არ გამჟღავნებულა; მაგრამ, სავარაუდოდ, "ბოინგი" 5-6 მილიარდ დოლარს მიიღებს. ეს დიდი შეღავათია ამერიკული გიგანტისათვის, რომელიც ბოლო ხანს უიმედოდ თმობდა პოზიციებს "ეარბასთან" ბრძოლაში.

თავად "ეარბასმა" გასულ თვეს გამართულ პარიზის საჰაერო შოუზე საქმიან სამყაროს ზარ-ზეიმით ამცნო ერთ-ერთი არაბული ავიაკომპანიისგან მიღებული 12,5 მილიარდ დოლარიანი შეკვეთის თაობაზე. ამ შეკვეთამ "ერაბასის" ხელმძღვანელობას საფუძველი მისცა განეცხადებინა, რომ წელს მათი კომპანია საბოლოოდ ჩამოიტოვებს უკან ინდუსტრიის ტრადიციულ ლიდერს - "ბოინგს."

მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენები მოწმობს, რომ ამერიკული გიგანტის მეორე პოზიციაზე გადასროლა არც ისე იოლი იქნება. "ბოინგს" მთელმა ევროპამაც რომ ზურგი აქციოს, მისთვის ამერიკული ავიაკომპანიებისგან მიღებული შეკვეთებიც საკმარისი იქნება, რათა "ეარბასის" სერიოზულ კონკურენტად დარჩეს. ასეთ ვითარებაში კი, გადამწყვეტი იქნება აზიური ბაზრის დაპყრობა, სადაც კონკურენტები, ჯერჯერობით, თანაბარ წარმატებებს აღწევენ.

მოკლედ

## ევროპაში სამუდამოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა

გუშინ ძალაში შევიდა პროტოკოლი, რომელიც ევროპის საბჭოს ქვეყნებში სიკვდილით დასჯას კრძალავს. აკრძალვა ძალაშია როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, ვალტერ შვიმერის განცხადებით, საბჭო იქცა პირველ ორგანიზაციად, რომელმაც სასჯელის უმაღლესი ზომა სამუდამოდ აკრძალა. "ეს კიდევ ერთი ნაბიჯია სიკვდილით დასჯის საყოველთაო გაუქმებისაკენ," – განაცხადა მან.

ორგანიზაციაში შემავალი 45 ქვეყნიდან სიკვდილით დასჯა ფორმალურად მხოლოდ ოთხ სახელმწიფოში: რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში არ არის გაუქმებული; თუმცა, ოთხივე მათგანში ამ სასჯელის გამოყენებაზე მორატორიუმია გამოცხადებული.

## რუსი გენერლები სამხედრო რეფორმის გადადებას მოითხოვენ

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ბალუევსკიმ პარტია "ერთიანი რუსეთის" მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე გამოსვლისას მოითხოვა, რომ სამხედრო რეფორმა დაიწყოს არა არმიიდან, არამედ სასაზღვრო და შინაგანი ჯარებიდან. დაგეგმილი რეფორმის მთავარ ელემენტს გაწვევის გაუქმება და პროფესიულ არმიაზე გადასვლა წარმოადგენს.

ბალუევსკიმ განაცხადა, რომ გენერალურმა შტაბმა შესთავაზა მთავრობას, ხელი აიღოს არმიის რეფორმაზე, პირველ რიგში კი - სტრატეგიული სარაკეტო ძალების შემცირებაზე. გენერლის განცხადებით, რაკი ამერიკა გამოვიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან და ეროვნული სარაკეტო თავდაცვის მშენებლობა დაიწყო, რუსეთმაც შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ბალუევსკიმ აგრეთვე განაცხადა, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებისათვის სულ მცირე - 1,1 მილიონიანი არმიაა საჭირო.

ამ მოთხოვნას დაეთანხმა დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, "ერთიანი რუსეთის" წევრი, გენერალი კოვალიოვიც. მისი თქმით, სამხედრო რეფორმა სწორედაც შინაგანი და სასაზღვრო ჯარებიდან უნდა დაიწყოს.

## ირანი და თურქეთი ერთად ებრძვიან ქურთებს

ამერიკული ელექტრონული გამოცემის, "უორლდ ტრიბუნის" ცნობით, ბოლო ხანს ირანი და თურქეთი აქტიურად თანამშრომლობენ ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანის შეიარაღებული ძალები ამჟამად ერაყის საზღვრის სიახლოვეს არიან განლაგებულნი, სადაც ისინი "ქურთ მუშათა პარტიის" რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. ერაყთან საზღვრის გასამაგრებლად დამატებითი ძალები გადაისროლა თურქეთმაც.

ირანელებმა ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია მას შემდეგ დაიწყეს, რაც 21 ივნისს ქმპ-ის მებრძოლებმა რვა ირანელი ჯარისკაცი მოკლეს. თურქული წყაროების ცნობით, საპასუხო ოპერაციისას ირანელებმა რამდენიმე ქურთი მებრძოლი მოკლეს და რამდენიმე დაიჭირეს. წინასწარი ინფორმაციით, ისინი სომხეთში ცდილობდნენ გადასვლას.

"უორლდ ტრიბუნის" ცნობით, ომის დასრულების შემდეგ ქურთულმა დაჯგუფებებმა ჩრდილოეთ ერაყში პოზიციები გაიმაგრეს და იქიდან აწარმოებენ თავდასხმებს როგორც ირანის, ისე თურქეთის წინააღმდეგ.

თურქული საინფორმაციო სააგენტო "ანატოლია" იუწყება, რომ 1000-მდე ქურთი მებრძოლი ირანის ტერიტორიაზე გადავიდა. თეირანმა მათ ქვეყნის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა გულმა განაცხადა, რომ მართლია მის ქვეყანას ერაყთან ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვს, მაგრამ ერაყის ქურთისტანში მისი სამხედროები მაინც დარჩებიან.

"ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თურქეთში მოქმედებენ, ამ რეგიონში თავშესაფარი ვერ უნდა ჰპოვონ," – განაცხადა გულმა, – "ჩვენ იქ მანამდე დავრჩებით, სანამ პრობლემა საბოლოოდ არ მოგვარდება".

# სილვიო ბერლუსკონის მისია

### სჭირდება თუ არა ევროპას "ნათლია"?


REUTERS

ბერლუსკონის სულაც არ ანაღვლებს, უწოდებენ თუ არა "ნათლიას" ევროპარლამენტარები.

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ, საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, ევროპარლამენტის წინაშე საპროგრამო სიტყვით წარსდგა იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი. მან ევროპის პარლამენტარებს ის პრიორიტეტები ჩამოუთვალა, რომლის შესრულებასაც იტალია ვალდებულებად იღებს მანამ, სანამ ეს ქვეყანა ევროკავშირის თავმჯდომარე იქნება. იტალიამ და, შესაბამისად, მისმა ლიდერმა სილვიო ბერლუსკონიმ, ევროკავშირის ხელმძღვანელობა პირველ ივნისს, ნახევარი წლით გადაიბარა. იტალიის ლიდერობამ არნახული ხმაური გამოიწვია. პრობლემა არა იტალიაში, არამედ მისი ლიდერის – სილვიო ბერლუსკონის სკანდალურ პერსონაშია. გუშინ, მისი საპროგრამო სიტყვის დროს, ევროპარლამენტის დეპუტატებმა ბერლუსკონის წინააღმდეგ პლაკატებიც აღმართეს.*

**"კანონის წინაშე ყველა თანაბარია"** და **"ევროპას ნათლია არ სჭირდება"** იმ პლაკატებზე ეწერა, რომელიც ევროპარლამენტის ორმოცამდე "მწვანე" დეპუტატმა აღმართა. საპასუხოდ, ბერლუსკონის მომხრე მემარჯვენე ცენტრისტებმა ხმაური ატეხეს და "მწვანეებს" სიმშვიდისაკენ მოუწოდეს. გარდა ამისა, ბერლუსკონის შეურაცხმყოფელ "მწვანეებს" დარბაზიდან გაძევებით თავად პარლამენტის პრეზიდენტი პეტ კოქსი დაემუქრა.

სილვიო ბერლუსკონი კვლავ ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ პოლიტიკოსად რჩება. მის წინააღმდეგ განწყობილი ევროპარლამენტის დეპუტატები და, არა მარტო ისინი, პირდაპირ აცხადებენ, რომ იტალიაში ბერლუსკონის წინააღმდეგ აგორებული ბრალდებები კორუფციაში მისი მონაწილეობის შესახებ, ბატონ სილვიოს ევროკავშირის თავმჯდომარის პოსტისათვის მიუღებელ კანდიდატურად აქცევს.

"ნათლიად" წოდებული ბერლუსკონი კი, ბრიტანულ გაზეთ "თაიმსთან" საუბარში იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ არავის აქვს უფლება, მორალი წაუკითხოს იმ მთავრობას, რომელიც ხალხის მიერ დემოკრატიულად არის არჩეული.

იტალიისათვის და, შესაბამისად, ბერლუსკონისათვის ევროკავშირის ლიდერობის მინიჭებამდე მილანის სასამართლომ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურად მიმართა და იტალიის პარლამენტის მიერ უმაღლესი თანამდებობის პირების ხელშეუხებლობის შესახებ ივნისში მიღებული კანონის გადახედვა სთხოვა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ხელშეუხებლობის შესახებ ქვეყნის ხუთ უმაღლეს პირს: პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის ორივე პალატის სპიკერსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უვადო იმუნიტეტს ანიჭებს. ამ კანონმა, რომელიც პარლამენტმა, რასაკვირველია, თავად პრემიერ-მინისტრის მომხრეების ლობირებით მიიღო, სილვიო ბერლუსკონის სულზე მოუსწრო, რადგან მილანის სასამართლომ მას მექრთამეობის ბრალდება წაუყენა. კერძოდ, იტალიის "ნათლიას" ბრალი ედება 1985 წელს მოსამართლეების მოსყიდვაში, რომლებიც მისი კომპანიების საეჭვო საქმიანობას იძიებდნენ. მილანის სასამართლოს კი ამ საქმის გაგრძელების უფლება იტალიის პარლამენტში დეპუტატების მიერ გამოტანილმა კანონმა წაართვა. ახლა ჯერი საკონსტიტუციო სასამართლოზეა. თუკი, მილანის სასამართლოს თხოვნას ეს უკანასკნელიც წაუყრუებს, ბერლუსკონის შეუძლია ცხოვრების ბოლომდე მშვიდად იყოს. თუმცა, დარდით იტალიის "ნათლია" არც ახლა იკლავს თავს.

მან ევროპარლამენტში არც "მწვანეების" მიერ აღმართულ პლაკატებს მიაქცია ყურადღება, ჩვეული ღიმილით და შესაშური სიმშვიდით დაიწყო და დასრულა კიდეც თავის გამოსვლა, რომელიც, ძირითადად, საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე იყო აგებული. ბერლუსკონიმ ევროპარლამენტს თავის თავმჯდომარეობის პერიოდის საქმიანობის პროგრამა გააცნო. ის ძალზე მოწადინებულია, რომ მსოფლიოში ევროკავშირის ავტორიტეტის ზრდას საფუძველი სწორედ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში ჩაეყაროს. ამის მიღწევას კი სილვიო ბერლუსკონი შემდეგი ღონისძიებებით აპირებს:

აშშ-თან ურთიერთობის გაუმჯობესება;

ოქტომბერში სამთავრობათშორისო კონფერენციის მოწვევა ევროკავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საკითხზე;

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში აქტიური ჩართვა და ამ საკითხზე სიცილიაში სამშვიდობო კონფერენციის მოწყობა;

ევროკავშირის ეკონომიკურ ინფრასტრუქტურებში მილიარდობით დოლარის ინვესტირება ევროპის საინვესტიციო ბანკის საშუალებით;

ევროპაში არალეგალური ემიგრაციის შემცირება სპეციალური საემიგარციო ზონების შექმნის გზით.

ევროპელ პენსიონერთა მზარდ რაოდენობაზე გასაწევი დანახარჯების დიდი ნაწილის ევროკავშირისათვის გადაცემა და ამით ეროვნული მთავრობებისათვის საზრუნავის შემსუბუქება.

საკითხთა ეს ჩამონათვალი ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ბერლუსკონიმ საკუთარ თავს და მის გუნდს საკმაოდ რთული მისია დაუსახა. თუმცა, ისიც და მისი მეგობრებიც საკმაოდ იმედიანად არიან განწყობილნი. **"ჩვენი თავმჯდომარეობის პერიოდი შერიგების და პროგრესის ხანა იქნება. რატომ? იმიტომ, რომ როგორც ევროკავშირის დამფუძნებელ ქვეყანას, ჩვენ გარკვეული ვალდებულებები გაგვაჩნია. გარდა ამისა, ჩვენ გვსურს ვიყოთ სახელმწიფო, რომელიც დიდ ყურადღებას მიაქცევს ევროკავშირის მომავალ წევრ ქვეყნებს,"** - განუცხადა ფრანგულენოვან გაზეთ "ლე მონდს" იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ და იტალიის ნაციონალური ალიანსის მთავარმა იდეოლოგმა ადოლფო ურსომ. იტალიის როლს და პოზიციას ევროკავშირის მომავალ განვითარებაში კიდევ უფრო აკონკრეტებს იტალიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სოციალისტი ჯანი დე მიკელისი.

**"ევროპის შესახებ ორმოცწლიანი კაროლინგური შეხედულებების ხანა უნდა დასრულდეს. მსოფლიო შეიცვალა, კედელი დაემხო. არ არის საჭირო პრინციპების ფანატიკური მხარდაჭერა. საფრანგეთმა და გერმანიამ შეცდომა დაუშვეს, როდესაც ერაყთან მიმართებაში ამერიკულ ხაზს გაემიჯნენ, რომელიც სინამდვილეში ახლო აღმოსავლეთში ვითარების შესაცვლელად იყო მიმართული. ახლა კი ევროპა სამშვიდობო პროცესისგან იზოლირებული აღმოჩნდა,"** - აცხადებს ჯანი დე მიკელისი და ამით ბერლუსკონის ნახევარწლიანი მისიაც ყველასათვის ცხადი ხდება. თუმცა, ყველაფერი ამით არ მთავრდება. სილვიო ბერლუსკონის ევროპული მისია, საბოლოო ჯამში, ისევ სილვიო ბერლსუკონის მშვიდად ყოფნის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. **"ბერლუსკონი ფიქრობს, რომ ატლანტიზმი საერთაშორისო არენაზე მის "ლეგიტიმიზაციას" უწყობს ხელს და ის ყურს არ უგდებს ზოგიერთი ევროპელის მხრიდან კრიტიკულ გამონათქვამებს. გარდა ამისა, ის მიიჩნევს, რომ ევროკავშირის თავმჯდომარის პოსტზე წარმატება ყველას დაავიწყებს მის ფინანსურ და სასამართლო პრობლემებს,"** - აცხადებს იტალიის მრეწველობის ყოფილი მინისტრი ენრიკო ლეტა.

ამდენად, სილვიო ბერლსუკონიმ ევროკავშირის თავმჯდომარეობა საკმაოდ ხმაურიანად დაიწყო. მან კარგად იცის, რომ მისი ყოველი ნაბიჯი ყურდღების და კრიტიკის ცენტრში იქნება. მაგრამ, როგორც ენრიკო ლეტა აღნიშნავს, ის ოპონენტებს **"ყურს არ უგდებს."** ეს გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა "ნათლიად" წოდებულმა პოლიტიკოსმა ევროპარლამენტში მის წინააღმდეგ ამხედრებულ "მწვანეებს" ყურადღებაც კი არ მიაქცია. სილვიო ბერლუსკონის შორს მიმავალი მიზნები აქვს და დიდი მისია აკისრია. მან ევროკავშირი მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ძალად უნდა აქციოს. ასეთი მისიის მქონე ადამიანს კი სულაც არ უნდა ანაღვლებდეს, უწოდებენ თუ არა "ნათლიას" ევროპარლამენტარები.

# რუსები თურქმენეთის დატოვებას ლამობენ



ცოცხალი თურქმენბაშის ოქროს ძეგლი აშხაბადის ცენტრში.

ნიაზიკ ატაევა
აშხაბადიდან
IWPR

*რუსები თურქმენეთის დატოვებას ცდილობენ, მაგრამ უზარმაზარ ბიუროკრატიულ სიძნელეებს აწყდებიან.*

ყოველდღიურად აშხაბადში რუსეთის საელჩოს წინ დაახლოებით 2000 ადამიანი იკრიბება და ცდილობს, საბუთები ჩააბაროს, რათა თურქმენეთი სამუდამოდ დატოვოს.

მწველი სიცხის მიუხედავად, აშხაბადში ხალხი მზად არის, უზარმაზარ რიგში ჩადგეს. ქვეყნის დასავლეთი ნაწილიდან ჩამოსული ელენა ერთ-ერთი მათგანია.

"მე ამ რიგში 1 623-ე ვარ", - თქვა მან. "დაახლოებით სამი დღე-ღამე დამჭირდება, რომ საელჩოში შევაღწიო და ჩემი საბუთები ჩავაბარო".

ის რიგის დატოვებას არ აპირებს. "ყოველ წუთს ნომერს აცხადებენ, თუ გამოტოვებ, ავტომატურად სიიდან ამოგშლიან და შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო".

ელენა თურქმენეთში მცხოვრები 150 000 ეთნიკური რუსის სათვისტომოს წევრია, რომელთა უმრავლესობას ორმაგი მოქალაქეობა აქვს – თურქმენეთისაც და რუსეთისაც. ახლა მათ არჩევანის გაკეთებას აიძულებენ, თანაც ამის გაკეთება დროზე უნდა მოასწრონ.

ნებისმიერი არჩევანის შედეგი საკმაოდ მძიმეა: თუ ისინი თურქმენეთის მოქალაქეობას აირჩევენ, მათ მომავალში ქვეყნის გარეთ გასვლა გაუჭირდებათ. ამის გამო კი უმრავლესობას რუსეთში მყოფ ნათესავებთან ურთიერთობაზე უარის თქმა მოუწევს. თუ ისინი რუსეთის მოქალაქეობას აირჩევენ, ავტომატურად უცხოეთის მოქალაქეებად ჩაითვლებიან, რომლებმაც თავიანთი სახლები და ქონება დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ. ვიზის სასწრაფოდ მოპოვების გარეშე მათ დეპორტაცია ელით.

ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, რამდენად მკაცრად ასრულებენ თურქმენეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ კანონს. არსებობს დაუდასტურებელი ცნობები იმის თაობაზე, რომ თურქმენეთში რუსების ქონების კონფისკაცია დაიწყეს. თუმცა, რუსი მაღალჩინოსნები (მათ შორის, პრეზიდენტი პუტინი) ამბობენ, რომ მათ თურქმენბაშისაგან გარანტია მიიღეს, რომ ეთნიკური რუსების მიმართ მკაცრ ზომებს არ მიმართავენ.

ვინც რუსეთის პასპორტს დაიტოვებს, რუსეთში შესასვლელი ვიზის აღება მაინც მოუწევს. ვიზების გაცემის პროცესი ძალზე არაორგანიზებულია. საკონსულოები აპლიკანტებს არანაირ რჩევას არ აძლევენ.

"ჩვენ ახლა იმ საელჩის წინ ვდგავართ, რომლის მოქალაქეებიც ვართ", - დაიჩივლა ელენამ. "რა მოხდებოდა მაშინ, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს თავიანთი საელჩოები ასე რომ მოქცეოდნენ"?

სერგეი, თავის ცოლთან და ორ ბავშვთან ერთად, საელჩოს წინ ორი დღეა იცდის. "ჩვენ იძულებულები ვართ, ყველანი აქ ვიყოთ", - თქვა მან. "ისინი მოითხოვენ, რომ საბუთების ჩაბარებისა და გაცემისას ყველა პიროვნება ადგილზე იყოს".

საბოლოო ვადის გასვლამდე სერგეი "სადაზვერვო მისიით" რუსეთში გამგზავრებას შეეცადა, რათა რუსეთში სამუშაოსა და საცხოვრებლის საკითხები გაერკვია. თუმცა, თურქმენეთის ხელისუფლებამ მას ქვეყნიდან გასასვლელი ვიზა არ მისცა.

"ახლა, ჩვენ იმ პირობით გაგვიშვებენ, რომ აღარასოდეს დავბრუნდებით. ასეთ ქვეყანაში ჩემი ბავშვები როგორ დავტოვო? აქ რუსულენოვანი სკოლები უკვე აღარ არის. სასკოლო სწავლება კი ცხრა კლასამდე შეამცირეს", - ამბობს განერვიულებული სერგეი.

ვინც რუსეთის საელჩომდე მიაღწია, სხვებთან შედარებით კიდევ უფრო იღბლიანია. რუსეთში წასასვლელად ვიზის აღებამდე თურქმენეთის ხელისუფლებამ მათ ქვეყნიდან გასასვლელი ვიზა უნდა მისცეს. ეს კი გაცილებით ძნელია. ვიზის გამცემ უწყებასთან რიგებს დილის ოთხ საათზე იკავებენ.

"მთელი დღე რიგში ვიდექი, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ჩემი გვარი კომპიუტერში შეიყვანა და ცივი სახით გამომიცხადა, რომ ვიზას არ მომცემენ", - აღნიშნა აღშფოთებულმა სტუდენტმა, რომელსაც რუსეთში უნივერსიტეტის გამოცდების ჩაბარება სურს.

მოხელეები არანაირ განმარტებას არ იძლევიან. "მოხელეს ჩემთვის ხელმეორედ არც კი შემოუხედავს. მან თავისი ყურადღება დაუყოვნებლივ უკან მდგომზე გადაიტანა".

"ჩვენი 90-კაციანი ჯგუფიდან ვიზა მხოლოდ სამმა მიიღო", - თქვა ახალგაზრდამ.

პანიკური სიტუაციის გამო მოსკოვში წასასვლელი ყველა ბილეთი 21 აგვისტომდე დაჯავშნულია. საჭიროა ქრთამის გადახდა, რომ ბილეთი გამოაჩინონ.

ამგვარი აჟიოტაჟის შექმნა თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის დამსახურებაა. მის მოქმედებას რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. ეთნიკური რუსების შევიწროვების გამო რუსმა პარლამენტარებმა თურქმენბაში მანამდეც გააკრიტიკეს.

ამის მიუხედავად, ზეწოლა არ შემცირებულა. ადგილობრივი რუსი მოსახლეობის მდგომარეობა დღითი დღე გაუსაძლისი ხდება.

# გერმანიის მთავრობა გადასახადებს ამცირებს

ადამ მჭედლიძე

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რადიკალურ ნაბიჯებზე მიდის. მომავალი წლისათვის დაგეგმილია გადასახადების შემცირება, რომლის მოცულობამ საბოლოო ჯამში 18 მილიარდი ევრო უნდა შეადგინოს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ შრიოდერი მემარცხენე პარტიის წარმომადგენელია, ვისთვისაც გადასახადების შემცირება ძნელად შესაგუებელი მოვლენაა, რთული ეკონომიკური ვითარებით გერმანიის მთავრობის შეშფოთება ნათელი ხდება.

გადასახადების შემცირება სამომხმარებლო აქტივობისა და ინვესტიციებისათვის სტიმულის მიცემას გულისხმობს. ეს ნამდვილად წაადგება გერმანიის ეკონომიკას, რომელიც ბოლო წლებში სტაგნაციას განიცდის და რეცესიამდეც თითქმის არაფერი უკლია. უკვე მესამე წელია, მთლიან შიდა პროდუქტში, პრაქტიკულად, ნულოვანი ზრდა ფიქსირდება, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საერთოდ უარყოფითი ზრდაც კი იყო – 0,2 პროცენტი.

მაგრამ, ამავე დროს გადასახადების ამგვარი შემცირება მძიმე დარტყმა იქნება ბიუჯეტისათვის, რომლის შესრულება გერმანიას ისედაც უძნელდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ბოლოხანს ბერლინმა ევროკავშირისგან არაერთი შენიშვნა მიიღო. გასულ კვირას კი, გერმანიის ხელისუფლებას უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს, რომლის შინაარსი ამგვარი იყო: თუკი გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტი იმაზე მაღალი იქნება, ვიდრე ამას გაერთიანებული ევროპის ნორმები ითვალისწინებს, ქვეყანას ევროკავშირისაგან დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

შრიოდერი ირწმუნება, რომ 2004 წლის ბიუჯეტი აუცილებლად დააკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს, რადგან გადასახადების შემცირება სუბსიდიების შემცირებისა და ყოფილი სახელმწიფო მონოპოლიების აქციათა გაყიდვით დაფინანსდება.

გერმანიის წამყვანმა ტაბლოიდმა „ბილდმა" უკვე გამოაქვეყნა გათვლები, რომლის მიხედვითაც, გადასახადების შემცირება გერმანულ ოჯახს საშუალოდ წელიწადში ათასი ევროთი ახეირებს. ეს საშემოსავლო გადასახადის 10-პროცენტიანი შემცირების წყალობით მოხდება, რომელიც შრიოდერის გეგმაშია ჩადებული.

გეგმას უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებიც შრიოდერის ნაბიჯებს ბუშისას ადარებენ. მათი თქმით, გადასახადების შემცირება გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტს ისევე გაზრდის, როგორც აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტი გაზარდა.

თუმცა, ჯერჯერობით ამ შემცირებების დაკანონებისთვის შრიოდერს საკანონმდებლო ხელისუფლების თანხმობა ესაჭიროება. პარლამენტის ზედა პალატას კი კონსერვატორული ოპოზიცია აკონტროლებს, რომლის გარეშეც ქვეყანაში არაფერი გადაწყდება.

# თურქეთი-სომხეთი: გაიხსნება თუ არა საზღვარი?

პირველი გვერდიდან

სომხეთთან ურთიერთობების მოგვარებას ითხოვს ევროპაც. თურქეთი, როგორც ჩანს, შიშობს, რომ გენოციდის აღიარების კამპანიამ შესაძლოა, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მას სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნას. მით უმეტეს, რომ 1915 წელს ოსმალთა იმპერაში მომხდარ სომეხთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტას გენოციდის კვალიფიკაცია მისცეს იტალიამ და საფრანგეთმა.

თავის მხრივ, სომხეთშიც საზღვრის გახსნას ბევრი მომხრე ჰყავს. ყველამ კარგად იცის, რომ თურქეთთან ვაჭრობა ქვეყანას ყოველწლიურად ათეულობით მილიონ დოლარს მოუტანს. გაზეთი "არავოტი" წერს, რომ თუ ერევანი ანკარას წინადადებაზე უარს იტყვის, ეს მისი მხრდან ნამდვილი მაზოხიზმი იქნება.

მაგრამ ასე არ ფიქრობს სომხური დიასპორა და დაშნაკთა პარტია. დიასპორისათვის გენოციდის აღიარება კვლავაც ნომერ პირველ პრიორიტეტად რჩება. რაც შეეხება დაშნაკებს, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკში შედიან, აცხადებენ, რომ სანამ ანკარა გენოციდის ფაქტს ოფიციალურად არ აღიარებს, ორმხრივ ურთიერთობებს მომავალი არა აქვს. დაშნაკები მოითხოვენ, თურქეთმა უარი თქვას მთიანი ყარაბაღის პრობლემისადმი "ცალმხრივ მიდგომაზეც".

ამ დროს ერევნის ოფიციალური პოზიცია უცვლელია: დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. ეს კი თურქეთისათვის მიუღებელია.

ანკარა აგრძელებს გამოსავლის ძიებას. თურქეთის ელჩმა აზერბაიჯანში აჰმედ უნალ ჩევიკეზმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა თანახმაა, მოაწყოს სამმხრივი დიალოგი თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მონაწილეობით, თუკი, რასაკვირველია, ბაქო და ერევანი ამაზე თანახმა იქნებიან.

# საუკეთესო განათლების სისტემის ქვეყანა

აბა, გამოიცანით, რომელია დახვეწილი ინგლისურით მოსაუბრე ადამიანებით დასახლებული ჩრდილოეთ ევროპის ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო განათლების სისტემა აქვს? ეს დიდი ბრიტანეთი კი არ არის, არამედ ფინეთია.

ორი დღის წინ ეუთო-სა და იუნესკო-ს მიერ მომზადებული მოხსენება გამოქვეყნდა, რომლის თანახმად, ფინეთი განათლების მისაღებად სამოთხეა, სადაც მოქალაქეების მოთხოვნები უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად არის დაკმაყოფილებული.

იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც გამოკითხვა ჩატარდა, ფინეთში მოსახლეობა ტექსტებს საუკეთესოდ კითხულობს, მოსახლეობის ნახევარს რთული ტექსტების წაკითხვა თავისუფლად შეუძლია. იქ მხოლოდ ორმა პროცენტმა ვერ შეძლო ეუთო-ს ტესტის მინიმუმის დაკმაყოფილება. მათემატიკის ცოდნაში კი ფინელებმა ყველა ევროპულ ქვეყანას აჯობეს. ეს გამოკვლევა მსოფლიოს 43 ქვეყანაში ჩატარდა.

ეუთო-მ აღნიშნა, რომ ფინეთი ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანაა იმ თვალსაზრისით, რომ აქ სწრაფი ცვლილებების მიღწევა ერთ ათწლეულში შეიძლება. ამავე კვლევამ ცხადყო, რომ ის სისტემა, სადაც სკოლებს ფართო ავტონომიას ანიჭებენ, გაცილებით უფრო წარმატებულია.

"ეს ის საქმეა [სწავლება], რომელსაც პატივს სცემენ. ფინელები სასწავლო პროცესს ბიუროკრატიული სამუშაოსავით არ უდგებიან", - განაცხადა ეუთო-ს წარმომადგენელმა ანდრეას შლაიხერმა. ამის გამო მასწავლებლობა ფინეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული პროფესიაა.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** საქართველოს იუნიორთა ნაკრების მეკარე დავით ჯვარშეიშვილი არგენტინის ჩემპიონმა "რივერ პლეიტმა" მიიწვია. დავით ჯვარშეიშვილი წელიწადნახევრის განმავლობაში "ხოკარიტა ხუნიორსის" ახალგაზრდული გუნდის ღირსებას იცავდა. თბილისში მყოფმა ახალგაზრდა მეკარემ კი განაცხადა, რომ ახლახანს მას "რივერ პლეიტის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და სახელოვანი გუნდის შემადგენლობაში გადასვლა შესთავაზეს. ახლო მომავალში დავით ჯვარშეიშვილი ბუენოს-აირესს ეწვევა და არგენტინის ჩემპიონთან კონტრაქტს გააფორმებს.

**ფეხბურთი.** "ბარსელონამ" და თურქეთის ნაკრების მეკარე რუშთუმ უკვე მიაღწიეს შეთანხმებას ამ უკანასკნელის კატალონიურ კლუბში გადასვლის შესახებ. რუშთუს გადაბირების იდეა "ბარსელონას" ახლად არჩეულ პრეზიდენტს, ხუან ლაპორტას ეკუთვნის. თურქ მეკარესთან ის ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ეს მოლაპარაკებები დადებითად დასრულდა. რუშთუ რეჩბერის სამედიცინო შემოწმება ორშაბათს არის დანიშნული, ოფიციალურად კი, როგორც "ბარსელონას" ახალ მეკარეს, მას სამშაბათს წარადგენენ.

**ფეხბურთი.** კიდევ ერთხელ დადასტურდა ცნობა, რომ არაბეთის გაერთიანებული ემირატების კლუბი "ალ აინი" ბრაზილიელი რივალდოს შეძენას ცდილობს. არაბები, ფეხბურთელის სანაცვლოდ, "მილანს" სამ მილიონ დოლარს სთავაზობენ. "ალ აინს" "მილანის" კიდევ ერთი ბრაზილიელის, სერჟინიოს შეძენაც ნდომებია. ჯერ არ არის ცნობილი, თუ რა აზრის არის თავად იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა, თუმცა ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკების შედეგები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

**ფეხბურთი.** ზინედინ ზიდანმა თავისი გაკვირვება გამოხატა იმის თაობაზე, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" დევიდ ბექჰემის გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო. ზიდანი ამბობს: "თუ გუნდს სურს, რომ წარმატებული იყოს, მას საუკეთესო ფეხბურთელებიც უნდა ჰყავდეს. ბექჰემი კი ნამდვილად ამ კატეგორიას მიეკუთვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში "რეალი" მას არ შეიძენდა. "მანჩესტერი" კი ბექჰემთან განშორებას ნამდვილად ინანებს".

**ფეხბურთი.** კამერუნის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ აწგარდაცვლილ მარკ-ვივიენ ფოეს სამოქალაქო პანაშვიდები გადაუხადონ. ფეხბურთელი, რომელიც კოლუმბიის წინააღმდეგ კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში მოედანზე გარდაიცვალა, თავის მეორე მშობლიურ ქალაქად საფრანგეთის ლიონს მიიჩნევდა. სწორედ ლიონში შედგება ფოეს პირველი სამოქალაქო პანაშვიდი. მისი დაკრძალვა კი 12 ან 13 ივლისს შედგება კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში.

**ჩოგბურთი.** ამერიკელი ჩოგბურთელი ანდრე აგასი, რომელიც უიმბლდონის მიმდინარე ტურნირის მეოთხე წრეში გამოეთიშა გათამაშებას, მომავალ წელსაც აპირებს უიმბლდონზე თამაშს. აგასი ამჟამად 33 წლისაა, თუმცა კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. "რატომაც არ უნდა ვითამაშო შემდეგ სეზონში; მე ჩოგბურთელი ვარ და ჩემი მიზანი მომავალ წელსაც წარმატებული თამაში იქნება", - განაცხადა აგასიმ.

**კრივი.** გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიო ბოქსის ასოციაციამ (WBA) დევიდ ტუასა და ჰასიმ რახმანს განმეორებითი ბრძოლის ჩატარება შესთავაზა, რათა საბოლოოდ გამოვლინდეს როი ჯონსის წინააღმდეგ სატიტულო ბრძოლის პრეტენდენტის ვინაობა. შეგახსენებთ, რომ ტუა და რაჰმანი უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ამ ორივე ბრძოლის შედეგები საკამათო გახდა. 1998 წელს ტუამ ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა რაჰმანი, თუმცა გადამწყვეტი დარტყმა მან გონგის შემდეგ მიაყენა მეტოქეს. მეორე შეხვედრა ამა წლის მარტში გაიმართა და ფრედ დასრულდა. თუმცა, გულშემატკივრებისა და სპეციალისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გამარჯვებას რაჰმანი იმსახურებდა.

**ჰოკეი.** "დეტროიტი" კვლავინდებურად ცდილობს, რომ გუნდის რუსი ლეგიონერი, სერგეი ფიოდოროვი შეინარჩუნოს. "ჩვენს შორის კიდევ ბევრი უთანხმოება არსებობს, თუმცა იმედი მაქვს, რომ მალე შევძლებთ მოლაპარაკებას", - განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, კენ ჰოლანდმა. მენეჯერმა ისიც თქვა, რომ ფიოდოროვის წასვლის შემთხვევაში გუნდის სათამაშო ტაქტიკა შეიცვლება და უფრო დაცვაზე ორიენტირებული გახდება.

**ოლიმპიზმი.** საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია ათენის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. საქმე ისაა, რომ ათენის მერია, ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, დიდი რაოდენობით საროსკიპოების გახსნისათვის საჭირო ლიცენზიის გაცემას გეგმავს. პროსტიტუცია საბერძნეთში ლეგალიზებულია. მხოლოდ ათენში რამდენიმე ათეული საროსკიპოა. ეკლესია შეშფოთებულია, რომ არსებულ საროსკიპოებს კიდევ ახალი მსგავსი დაწესებულებები შეემატება. სამშაბათს ათენის მერიამ აღნიშნული ინფორმაცია უარყო. "ქალაქის ხელმძღვანელობა არ გეგმავს საროსკიპოების რიცხვის გაზრდას", - ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

## ფეხბურთი

# მადრიდში „ბექჰემომანია" დაიწყო

ნინო პირველი

1 ივლისს მთელი მადრიდი აფორიაქებული იყო. ვისაც შეეძლო, კლინიკა "სარსუელასკენ" მიეშურებოდა, ვისაც არა და სახლში დაბრუნებას ჩქარობდა, რათა დროზე მოესწრო ტელევიზორის ჩართვა და მნიშვნელოვანი მოვლენის საკუთარი თვალით ნახვა. ყველაფერი მზად იყო საპატიო სტუმრის მისაღებად და ისიც დათქმულ დროს ჩამობრძანდა.

ზუსტად ცამეტ საათსა და ხუთ წუთზე მადრიდს სამხედრო აეროპორტ ტორეხონ დე არდოსში, სადაც ჩვეულებრივ მხოლოდ სახელმწიფო ვიზიტით ჩამოსულ პოლიტიკოსებს იღებენ ხოლმე, დევიდ ბექჰემის კერძო თვითმფრინავი დაეშვა. მადრიდის "რეალის" ახალი ვარსკვლავი ესპანეთში მეუღლის და უფროსი ვაჟიშვილის, ბრუკლინის თანხლებით ჩავიდა. პატარა რომეო მშობლებმა ინგლისში დატოვეს. როგორც დაგეგმილი იყო, ბექჰემები პირველად კერძო კლინიკა "სარსუელაში" წაიყვანეს. "მანჩესტერის" ექს-ვარსკვლავის მანქანას პოლიციის ესკორტი მიაცილებდა. ბექჰემი ისეთი პატივით მიაბრძანეს კლინიკაში, თითქოს, ფეხბურთელი კი არა, თვით ინგლისის პრემიერმინისტრი ყოფილიყო. კლინიკის სახურავზე ინგლისის დროშა ფრიალებდა. "ლა სარსუელას" წინ "ბექსს" უამრავი გულშემატკივარი და 100 ჟურნალისტი ელოდებოდა. საპატიო სტუმარს "რეალის" მთავარი ექიმი, დოქტორი ალფონსო დე კორალი გამოეგება და კლინიკაში შეიწვია. ესპანეთის ტელევიზიის რამდენიმე არხმა გადაცემები შეწყვიტა და კლინიკა ჩართო პირდაპირ ეთერში. უამრავმა ესპანელმა უყურა დევიდ ბექჰემის სამედიცინო შემოწმების სცენას. დოქტორი დე კორალი "სპაის ბოის," დაახლოებით, სამი საათის განმავლობაში სინჯავდა, შემდეგ კი კმაყოფილმა განაცხადა: "სენიორ ბექჰემი აბსოლუტურად ჯანმრთელია და თავისუფლად შეუძლია მაღალ დონეზე თამაში". ექიმის სიტყვებს პაციენტების და ექთნების მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა...

შემდეგ თეთრ პიჯაკსა და მუხლზე რგოლამოჭრილ ჯინსში გამოწყობილი ბექჰემი ჰოტელ "გრან მელიაში" წაიყვანეს, სადაც ერთი ღამე 1800 ევრო ღირს. "სპაის ბოისა" და მისი ოჯახის უსაფრთხოებას 30 პირადი მცველი უზრუნველყოფდა. მადრიდში, ბექჰემის ჩასვლის გამო, ლამის, ცხოვრების ნორმალური რიტმი დაირღვა. ყველას სურდა "რეალის" ახალი ძვირფასი შენაძენის ახლოდან ნახვა. "სამეფო კლუბის" წარმომადგენლები თავადაც გაოცებულნი იყვნენ ასეთი აჟიოტაჟით და აცხადებდნენ, რომ ფეხბურთის მოყვარულთა შორის ამგვარი დაინტერესება და ენთუზიაზმი თვით რონალდოს ჩასვლასაც არ გამოუწვევია.


დევიდ ბექჰემი და ალფრედო დი სტეფანო

მეორე დღეს ბექჰემის საზოგადოებისათვის წარდგენა და ოთხწლიან კონტრაქტზე ხელის მოწერა იყო დაგეგმილი. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად ვიქტორიამ მეუღლეს აჩუქა კალამი, რომლითაც ბექჰემს კონტრაქტზე ხელი უნდა მოეწერა. უსაჩუქროდ არც ვიქტორია დარჩენილა - ფლორენტინო პერესმა ბექჰემს და მის მეუღლეს სიმენსის ფირმის მობილური ტელეფონები უსახსოვრა, თან იმედი გამოთქვა, რომ ეს მათი მეგობრობის დასაწყისი იქნებოდა და ბექჰემი "რეალთან" ოთხი წლის შემდეგაც მოისურვებდა კონტრაქტის გაფორმებას. "იმედი მაქვს, პრეზიდენტო; გმადლობთ ყველაფრისთვის; დღეს მე ძალიან ბედნიერი ვარ", - უპასუხა ინგლისელმა.

ბექჰემი ესპანელებმა "სანტიაგო ბერნარბეუზე" წაიყვანეს და კონტარქატზე იქ მოაწერინეს ხელი, რათა ინგლისელ ფეხბურთელს ბოლომდე ეგრძნო "სამეფო კლუბის" დიდებულება. ოფიციალური წარდგენა კი 2 ივლისს, ადგილობრივი დროით დღის 12 საათზე სპორტის სასახლე "რაიმუნდო საპორტაში" შედგა, სადაც ჩვეულებრივ მადრიდის საკალთბურთო გუნდები თამაშობენ ხოლმე. ეს სასახლე 5000 მაყურებელს იტევს. ფლორენტინო პერესმა სწორედ ამდენი მაყურებლის წინაშე მიულოცა მადრიდელებს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის შემატება. რა თქმა უნდა, ფოტოკამერები განუწყვეტლივ ჩხაკუნობდა; ბექჰემის წარდგენა, ლამის, მთელმა მსოფლიომ ნახა, თავად "რეალის" ფეხბურთელების გარდა. ბექჰემი ხომ "რეალში" გულზე არავის ეხატება, მაგრამ ყველა ვარსკვლავი დელიკატურად დუმს. "რეალში" ყველასთვის მოიძებნება ადგილი. სანერვიულო არაფერია, პირიქით, უკეთესიცაა, ბექჰემი რომ ჩვენთან ითამაშებს - ეს კონკურენციას გაზრდის და ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ის მოხვდება, ვინც ყველაზე უკეთ იქნება მომზადებული", - განაცხადა რონალდომ, რომელიც სანამ ბექჰემი კამერების წინ პოზირებდა, ბრაზილიურ საქველმოქმედო მატჩში იღებდა მონაწილეობას და გოლიც გაიტანა.

# რუსული კაპიტალი ინგლისურ ფეხბურთში:

### აბრამოვიჩმა "ჩელსი" იყიდა


რომან აბრამოვიჩი - "ჩელსის" ახალი მფლობელი

მიხეილ აბაიშვილი

ჩუკოტკის გუბერნატორი, ბიზნესმენი, რომან აბრამოვიჩი ინგლისური საფეხბურთო კლუბის, "ჩელსის" მფლობელი გახდა. მან ამ კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი კენი ბეიტსისგან იყიდა, რომელიც "ჩელსის" 21 წლის განმავლობაში ფლობდა.

აბრამოვიჩიმა კომპანია "Chelsea Village"-ს აქციების 50,9 პროცენტში, თითქმის, 100 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ჩუკოტკის გუბერნატორის განცხადებით, იგი მოხარულია, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი შეიძინა. "ჩვენ საკმარისი ფინანსური რესურსი და ამბიცია გაგვაჩნია იმისთვის, რომ ამ ისედაც ბრწყინვალე გუნდის უზარმაზარი პოტენციალი კიდევ უფრო განვავითაროთ", - აღნიშნა აბრამოვიჩმა. "მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებისთვის და "Chelsea Village"-სთვის ეს ძალიან კარგი გარიგებაა. დღევანდელ მაღალკონკურენციულ საფეხბურთო ბაზარზე კლუბისთვის ბრწყინვალე ფინანსური შესაძლებლობების მქონე ახალი მეპატრონის გამოჩენა მოგებიანია. რომან აბრამოვიჩის ხელმძღვანელობით, "ჩელსის" დიდი მიზნების მიღწევა ძალუძს", - მიაჩნია კლუბის ყოფილ მეპატრონეს, კენ ბეიტსს.

ამჟამად "ჩელსი" იმ მრავალრიცხოვან ევროპულ კლუბთაგანია, რომლებსაც სერიოზული ვალები აქვთ დაგროვილი. ლონდონის "არისტოკრატთა" ბიუჯეტის გარღვევა 134,4 მილიონ დოლარს შეადგენს და აბრამოვიჩი თავისი საფეხბურთო საქმიანობის დაწყებას ამ ვალების გასტუმრებით აპირებს. ამის მიუხედავად, ინგლისური სპორტული საზოგადოებრიობა აღფრთოვანებული სულაც არ შეხვედრია აბრამოვიჩის მიერ "ჩელსის" შეძენის ფაქტს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სპორტის ყოფილი მინისტრი, ტონი ბლექსი სიფრთხილისკენ მოუწოდებს თანამემამულეებს: "ინფორმაციას ლონდონური კლუბის ახალი მეპატრონის თაობაზე უფრო კრიმინალურ სამყაროში მიიღებ, ვიდრე სპორტულში. მე მოვითხოვ, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გაარკვიოს, თუ ვინ არის რომან აბრამოვიჩი."

ყოფილი მინისტრის შეშფოთებას უსაფუძვლოს ნამდვილად ვერ უწოდებ. რომან აბრამოვიჩის პიროვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ იგი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ექსმოადგილის, ამჟამად რუსეთის პროკურატურის მიერ დაკავების სანქციაგაცემული ბორის ბერეზოვსკის უახლოესი გარემოცვის ყოფილი წევრია. თუმცა კი, "ბიზნესი" ბერეზოვსკისგან დამოუკიდებლად, მარტომ დაიწყო და თავის პირველი აფიორა 1992 წელს დაატრიალა, როდესაც ფიქტიური საბუთებით 4 მილიონი რუსული რუბლის ღირებულების 55 ცისტერნა დიზელის საწვავი რიგაში გადაგზავნა და გაყიდა. "ნიჭიერი" ბიზნესმენი მალე მოხვდა ბერეზოვსკის ყურადღების არეალში. აბრამოვიჩმა და ბერეზოვსკიმ 1995-1997 წლებში ჩაატარეს ფედერალურ მფლობელობაში მყოფი ნავთობკომპანია "სიბნეფტის" პრივატიზების უკანონო ოპერაცია, რითაც რუსეთის ბიუჯეტი, ამ ქვეყნის კონტროლის პალატის შეფასებით, 2,7 მილიარდი(!) დოლარით აზარალეს. ეს გახლავთ მიზერული ამონაწერი აბრამოვიჩის იმ მრავალტომიანი დოსიედან, რომელიც არა მარტო რუსეთის სპეცსამსახურებში ინახება. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, ინტერნეტ-საიტ www.compromat.ru -დან "ჩელსის" ახალ მეპატრონეზე საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს.

## ჩოგბურთი

# წვიმისგან საშველი არ არის

გუშინ უიმბლდონზე ვაჟთა ტურნირის მეოთხედფინალური მატჩები უნდა გამართულიყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ გაუთავებელი წვიმის გამო ერთი თამაშიც ვერ დასრულდა. ჩოგბურთელები დღეს შეეცდებიან ნახევარფინალისტების გამოვლენას. "გაუთავებელი წვიმა ჩოგბურთელებზე უაღრესად დამთრგუნველად მოქმედებს - ამბობს ფრანგი გი ფორჟე - ვინაიდან კორტებზე მათი ყოველი გამოჩენა ახალი თამაშის დაწყებასთან ასოცირდება. ეს კი ფსიქოლოგიურად ბრძოლისთვის ყველას ვერ განაწყობს".

გი ფორჟეს არგუმენტად ჰენმანი - გროსჟანის დაპირისპირება მოჰყავს. როცა პირველად გაწვიმდა ფრანგი პირველ სეტში - 5:1 იგებდა. შესვენების შემდეგ კი ტიმ ჰენმანმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და ტაი-ბრეიკში დამარცხდა. მეორე იძულებითმა შესვენებამ კი უკვე აშკარად გროსჟანს მოუტანა სარგებელი. ფრანგმა მესამე სეტი - 6:3 მოიგო და საერთო ანგარიშში - 2:1 დაწინაურდა. მეოთხე სეტში ჰენმანი სერიოზულად მოეკიდა საქმეს და თავისი ორივე გეიმი მოიგო, მაგრამ ცენტრალურ კორტზე შეკრებილ, ლოდინით გათანგულ საზოგადოებას ისევ აბეზარმა წვიმამ შეახსენა თავი და თამაში ბოლოსდაბოლოს გადაიდო.

ჰენმანი ინგლისელთა უკანასკნელი იმედია, ამიტომ ბრიტანელი ფანები 7 საათის განმავლობაში გმირულად ისხდნენ ცენტრალური კორტის ტრიბუნებზე და ქოლგის ქვეშ შეყუჟულები თავისი კერპის გამარჯვებას ელოდებოდნენ. წვიმამ კი მათ შემართებას, როგორც იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა და სრული გაურკვევლობით მოცულნი დაითხოვა ტრიბუნებიდან. ნათელია, რომ ჰენმანს ძალიან გაუჭირდება ამბიციური ფრანგის ძლევა. სებასტიან გროსჟანი მესამე ნომრად განთესილი ესპანელი ხუან კარლოს ფერეროს დამარცხების შემდეგ, ფსიქოლოგიურ აღმავლობას განიცდის და აშკარად საუკეთესო ფორმაში იმყოფება.


უიმბლდონზე წვიმს: ინგლისელები ჰენმანის გამარჯვებას ელიან

**უიმბლდონი. ინგლისი. "დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი გამარჯვებულები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). მეოთხედფინალი.**

**ვაჟები:**

ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 10) - სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 13) 6:7 (8:10), 6:3, 3:6, 2:1 თამაში შეწყდა.
მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) - ალექსანდერ პოპი (გერმანია) 4:6, 4:6, 6:3, 6:3, 2:2 თამაში შეწყდა.

რაკილა საუკეთესო ფორმა ვახსენეთ, ორიოდ სიტყვა ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისზეც ვთქვათ. ფილიპუსისმა მერვედფინალში ანდრე აგასი დაამარცხა და მისი დივიდენდები იმთავითვე გაიზარდა. თუმცა ავსტრალიელმა ყველაზე უკეთ იცის, რომ რაც უფრო წინ წაიწევს სულ უფრო გაუჭირდება. ამიტომ ყოველგვარი ვარაუდებისგან თავს იკავებს. გერმანელ ალექსანდერ პოპთან შეხვედრაში მარკს ძალიან გაუჭირდა. ავსტრალიელი ამჯერად ძალიან მოკრძალებული ჩანდა და პირველი ორი სეტი მეტოქეს დაუთმო. წვიმიანობამ მასზეც დამთრგუნველად იმოქმედა, მაგრამ არა იმდენად, რომ საბოლოოდ გამოეყვანა მწყობრიდან. ფილიპუსისმა მომდევნო ორი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. ანგარიში გაათანაბრა და გამარჯვების კარგი შანსი აქვს. გადამწყვეტი სეტის მეხუთე გეიმში ავსტრალიელი 30:0-ს იგებს.

რაც შეეხება უიმბლდონის კორტებს მიღმა სიახლეებს, გაირკვა, რომ ტურნირის მერვე ნომერმა ჰოლანდიელმა სიენგ შალკენმა ფეხის ტრავმის გამო შეიძლება მეოთხედფინალური მატჩი გამოტოვოს, რადგან ჩოგბურთელი გუშინ კორტების ნაცვლად საავადმყოფოში, სამედიცინო შემოწმებაზე გააქანეს. "მე არ მინდა ექიმების საბოლოო ვერდიქტამდე ტურნირიდან მოვიხსნა. გადაწყვეტილებას ბოლო მომენტში მივიღებ" - განაცხადა ჩოგბურთელმა.

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 3 ივლისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. მე-2 მატჩი
15:00 ფეხბურთი ა-დან წ-მდე
15:30 "დარტყმა გოლისთვის"
15:45 ამხანაგური შეხვედრა მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავთა მონაწილეობით
17:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ვილემ II" - "სპარტაკი"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "მიუნხენი 1860" - "ბავარია"
21:20 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. მე-2 მატჩი
23:05 "FUTBOL MUNDIAL"
23:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ჩელსი" - "მილანი"
01:20 01:20-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. მე-2 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 16:40, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. მეოთხედფინალები
14:40 ავტორბოლა. "რუსები GT-ზე"
15:10 საბრძოლო სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
15:40 ცხენოსნობა
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 "ჩქაროსნული სამყარო"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ისტორია. რუსეთის ჰოკეის ჩემპიონატები. 99/00 სეზონი
23:20 ცურვა. საერთაშორისო ტურნირი "მოსკოვის თასი"
00:45 "ჩქაროსნული სამყარო"
01:15 ახალი ამბები
01:30 ავტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის

**EUROSPORT**
11:30 აფროსნობა
12:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა
14:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
15:30 მძლეოსნობა. შვეიცარიის სუპერ გრან-პრი
17:30 ფეხბურთი
19:30 თავგადასავალი
20:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
23:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
00:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი
01:00 კრივი. საერთაშორისო ტურნირი გერმანიაში
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
04:15 ახალი ამბები

## კრივი

# ბანგკოკში ეულად

*ატიპური პნევმონიის სასიკვდილო ვირუსის გამო, აზიაში გასამართ ასპარეზობებს ბევრმა ზურგი შეაქცია. მართალია, ახლა ვირუსის საშიშროება აღარ არის, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის დელეგაცია აზიაში გამგზავრებისგან მაინც თავს იკავებს. ხვალიდან ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მოკრივეთა XII მსოფლიოს ჩემპიონატი იღებს სტარტს. უმთავრეს რინგზე მეტოქეებთან შებმა საქართველოდან წარგზავნილსაც მოუწევს.*

გიგა გურასაშვილი

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ფედერაციის სპორტულ კალენდარში მსოფლიოს ჩემპიონატს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და მისთვის საგანგებოდაც ემზადებიან. მაგრამ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, უმთავრეს რინგს ეროვნულ ფედერაციათა ერთი ნაწილი მაინც ალმაცერად უყურებს. მიზეზი აზიაში აწ უკვე ჩამცხრალი ატიპური პნემონია გახლავთ. ერთ-ერთი, ვინც ტაილანდში გამგზავრებისგან თავი შეიკავა, საქართველოს ნაკრებიცაა, თუმცა ეს სიფრთხილე ერთ-ერთი მიზეზთაგანია, რეალურად კი, ქართველები კვლავ უსახსრობას განიცდიან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, თენგიზ მესხაძემ ისიც განგვიმარტა, - ბანგკოკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოლიმპიური ლიცენზიები არ თამაშდება; უმთავრეს ასპარეზობაზე გასამგზავრებელი თანხა არსებობს, მაგრამ გვირჩევნია იგი სალიცენზიო ტურნირებისთვის შემოვინახოთ.

ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მფლობელებს გაისად თებერვალში დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატი გამოავლენს. მანამდე კი მომზადებაა საჭირო და მალე საქართველოს ნაკრები ექვსთვიან მოსამზადებელ ციკლს შეუდგება. მესხაძის თქმით, აღნიშნულ ციკლში ნაკრები საშეჯიბრო დატვირთვას მიიღებს და ლიცენზიებისთვისაც ორმაგი შემართებით იბრძოლებს. ტაილანდში წასვლის შემთხვევაში კი უსახსროდ დარჩენა გვემუქრებაო, - აღნიშნა მან (თითო სპორტსმენის გამგზავრება კი 2 ათას დოლარამდე ჯდება).

მიუხედავად ამისა, კრივის ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი სპორტსმენით მაინც წარდგება - საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, ცხინვალელი რობერტ ფილიევი ბანგკოკში იასპარეზებს. ფილიევი ბანგკოკში საკუთარი ხარჯებით გაემგზავრა, უფრო სწორედ, როგორც შევიტყვეთ, მისთვის დახმარება ცხინვალის რეგიონს აღმოუჩენია. ასპარეზობები 13 ივლისს დასრულდება.

აღსანიშნავია ამავე რანგის ასპარეზობაზე, ოღონდ კადეტთა შორის, ქართველ მოკრივეთა წარმატებით ასპარეზობა - რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში სამიოდე (19-30 ივნისი) დღის წინათ კადეტთა III მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. მსოფლიოს ჩემპიონატს რეკორდული რაოდენობის მონაწილე ჰყავდა. ქართველ კადეტებს 40 ქვეყნის 280-მდე მეტოქესთან მოუწიათ ურთიერთობა. ქართველები სულ სამი ვერცხლისა და ერთ ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ.

